საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-
საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი
სამმართველო

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათმცოდნეობის სამეცნიერო-მეთოდური
განყოფილება

# ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერილობის ერთიანი წესები

(საშუალო მოცულობის ბიბლიოთეკების კატალოგებისა
და ბიბლიოგრაფიული საძიებლებისათვის)

F 17.286 / 3

თბილისი
1954

02
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-
საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი
სამმართველო
კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათმცოდნეობის სამეცნიერო-მეთოდური
განყოფილება

# ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერილობის ერთიანი წესები

(საშუალო მოცულობის ბიბლიოთეკების კატალოგებისა და ბიბლიოგრაფიული საძიებლებისათვის)

Г 17,286 / 3

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

თბილისი
1954

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთარგმნელი: ვ. ანთელავა
აღწერილობათა ნიმუშები
შეარჩია: თ. დონდუამ
რედაქტორი: თ. ნაკაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა

„ერთიანი წესების“ მიზანია უზრუნველყოს ყველა სახის კატალოგებსა, ბარათებსა, კარტოთეკებსა და ბიბლიოგრაფიულ საძიებლებში ბეჭდვითი ნაწარმოებთა სისწორით, ნათლად და ერთგვარად აღწერა.

„ერთიანი წესების“ დაცვა განსაკუთრებით საჭიროა მკითხველთა კატალოგებისა და სარეკომენდაციო დამხმარე ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებისათვის, რომელნიც ლიტერატურის პროპაგანდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებათაგანია. ეს ლიტერატურა ხელს უწყობს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის ფართედ გავრცელებას.

ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერილობის ძირითადი წესები ყველა ბიბლიოთეკისათვის ერთიანია, მაგრამ ისინი ნაწილობრივ განსხვავდებიან ბიბლიოთეკის ფონდის მოცულობისა, შედგენილობის და მკითხველთა კონტიგენტის მიხედვით.

ამის გამო დადგენილია: 1. „ერთიანი წესები“ დიდი ბიბლიოთეკებისათვის და 2. „ერთიანი წესები“ მცირე, საშუალო მოცულობის ბიბლიოთეკებისათვის.

„ერთიანი წესები“ დიდი ბიბლიოთეკებისათვის გამოცემულია 1949 წელს[1]. მათი დანიშნულებაა დაეხმარონ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ბიბლიოთეკებსა და აგრეთვე მოემსახურონ დიდი მოცულობის სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკებს.

„ერთიანი წესების“ წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს მოემსახუროს: რაიონულ, საქალაქო, სასოფლო, საბავშვო ბიბლიო-

---

[1] Единные правила по описанию произведений печати для библиотечных каталогов. Ч. 1, вып. 1. М., 1949.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეკებს და აგრეთვე მცირე, საშუალო სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო და პროფკავშირულ ბიბლიოთეკებს.

„ერთიანი წესები“ მცირე ბიბლიოთეკებისათვის მით განსხვავდებიან დიდი ბიბლიოთეკებისათვის განკუთვნილ ერთიანი წესებისაგან, რომ მათში შემსუბუქებულია ბიბლიოგრაფიული აღწერილობა; კერძოდ, მნიშვნელოვნადაა გამარტივებული ოფიციალურ და საუწყებო გამოცემათა აღწერილობა; გარდა ამისა შემცირებული და შეკვეცილია დამხმარე აღწერილობათა რაოდენობა. მაგრამ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობათა გამარტივება და დამხმარე აღწერილობათა შემცირება-შეკვეცა არ ვრცელდება იმ წესებზე, რომლითაც ხდება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების აღწერილობა; ეს წესები ზემოაღნიშნულ ნაწარმოებთათვის გაფართოებულია და გამოყოფილია დამოუკიდებელ განყოფილებად, რომელშიაც აგრეთვე მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა აღწერილობის წესები.

პარტიის სახელწოდების შეცვლის შესაბამისად, წინამდებარე „ერთიან წესებში“ შეტანილია საკავშირო კომუნისტური პარტიის ოფიციალურ გამოცემათა აღწერილობის ახალი წესები.

წინამდებარე გამოცემა შევსებულია აგრეთვე მთელ რიგ სხვა წესებითაც, რომელნიც არ არიან შეტანილი დიდი ბიბლიოთეკებისათვის განკუთვნილ „ერთიანი წესების“ პირველ ნაწილში.

წინამდებარე გამოცემაში მოცემული წესები პერიოდულ, გრძელდებად გამოცემათა აღწერილობისა, რომელნიც დამუშავებულია დიდი ბიბლიოთეკების ფონდებისათვის, შეადგენენ 1949 წელს გამოცემულ „ერთიანი წესების“ მეორე ნაწილს, ხოლო საშუალო მოცულობის ბიბლიოთეკებისათვის აქ წარმოდგენილი ანალიტიკური აღწერილობის წესები შეიძლება გამოყენებულ იქნან დიდი ბიბლიოთეკების მიერაც.

„ერთიანი წესების“ წინამდებარე გამოცემის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მასში შეტანილია ბიბლიოგრაფიულ საძიებლებისათვის განკუთვნილი ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერილობის წესები, ეს უკანასკნელი შეთანხმებულია კატალოგების აღწერის წესებთან.

მცირე (საშუალო მოცულობის) ბიბლიოთეკებში კატალოგებისა და ბიბლიოგრაფიულ საძიებლებისათვის ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერისათვის „ერთიანი წესების“ გამოყენება სავალდებულოა დღიდან მათი გამოქვეყნებისა სარაიონო, საქალაქო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკების ყველა კატალოგებსა და კარტოთეკებში, აგრეთვე სარეკომენდაციო-დამხმარე ბიბლიოგრაფიულ სიების შედგენის დროს როგორც დასახელებულ ბიბლიოთეკებში, აგრეთვე სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტებში, სარედაქციო საგამომცემლო ორგანოების, ინსტიტუტებში და იმ სხვა დაწესებულებებში, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემაში.

სასოფლო და საკოლმეურნეო ბიბლიოთეკებისათვის გამოიცემა „ერთიანი წესების“ დამატებითი მეთოდური განმარტებანი.

„ერთიანი წესები“ წარმოადგენს წიგნის: Единые правила описания произведений печати для каталогов небольших библиотек и библиографических указателей“. М. 1953 წლ. ქართულ თარგმანს ქართული მაგალითების ჩვენებით.

**ბიბლიოთეკების სამმართველო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერილობის ზოგადი წესები

## ა) ძირითადი დებულებანი

**§ 1. ზოგადი მოთხოვნილებანი ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერილობისას.** წიგნების, ჟურნალების და სხვა ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერა წარმოებს განსაზღვრული წესებით. აღწერილობის მიზანია დაეხმაროს მკითხველს და ბიბლიოთეკარს მიიღოს წარმოდგენა ბეჭდვითი ნაწარმოების შინაარსსა და დანიშნულებაზე; დაადგინოს ძირითადი ბიბლიოგრაფიული ცნობები (ავტორი, ზუსტი სათაური, ვის მიერ და როდის არის გამოცემული ნაწარმოები, მისი მოცულობა და სხვ.), ადვილად და ჩქარა იპოვოს კატალოგში, ან ბიბლიოგრაფიულ საძიებელში საჭირო გამოცემა.

**§ 2. ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერილობის წესების ერთიანობა კატალოგებისა, ბიბლიოგრაფიულ საძიებლებისა, სიებისა და კარტოთეკებისათვის.** ბეჭდვითი ნაწარმოებთა აღწერილობა საბიბლიოთეკო კატალოგებისა, დამხმარე ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებსა (საძიებლებსა, სიებსა და კარტოთეკებში) სრულდება ძირითადად „ერთიანი წესები“-თ. აღწერილობის თავისებურებანი ბიბლიოგრაფიის დამხმარე სახელმძღვანელოში ნაჩვენებია ამ წესების სათანადო პარაგრაფებში.

გამოცემის ყოველმხრივი ასახვისა და მისი ანბანურ კატალოგში სწრაფად პოვნისათვის, გარდა სრული (ძირითადი) აღწერილობისა, იყენებენ აგრეთვე შეკვეცილ (დამხმარე) აღწერილობებსა და აგრეთვე მითითებებსა და საცნობო ბარათებს. რომ ერთი და იგივე ნაწარმოები აისახოს სისტემატური კატალოგის სხვა-

დასხვა განყოფილებაში, ხდება ძირითადი აღწერილობის გამრავლება რამდენჯერმე, სათანადო განყოფილებათა რაოდენობის მიხედვით. დამხმარე ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებში გამრავლებასთან ერთად იყენებენ მითითებებს და დამხმარე საძიებლებს.

§ 3. **წიგნის აღწერილობის წყაროები.** წიგნის აღწერისას საჭირო ცნობები აიღება წიგნის სხვადასხვა ნაწილებიდან (თავფურცელი, გარეკანი, წიგნის ტექსტი, წინასიტყვაობა, სარჩევი და ა. შ.).

აღწერილობის საფუძველს წარმოადგენს თავფურცელი და თუ ის არ არის, გარეკანი ან საგამომცემლო ყდა. თუ წიგნს არა აქვს არც თავფურცელი, არც გარეკანი, არც საგამომცემლო ყდა, მაშინ აღწერილობის საფუძვლად ღებულობენ თავსათაურს, რომელიც ტექსტს წინ უძღვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც თავფურცელზე, ან სხვა წყაროში, რომელიც საფუძვლად უდევს აღწერილობას, არ მოიპოვება საჭირო ცნობები, მათ ღებულობენ წიგნის სხვა ნაწილიდან (თავფურცლის მეორე გვერდი, გარეკანი, საგამომცემლო ყდა, თავსათაური ტექსტის დასაწყისში, შმუცტიტული, სარჩევი, წინასიტყვაობა, წიგნის ტექსტი).

გარდა ამისა, როდესაც საჭირო ხდება ცნობის მიღება სტალინური პრემიის მიკუთვნების შესახებ, დადგენა ავტორის გვარის სისწორისა, დაზუსტება მისი ინიციალებისა და სხვა, შეიძლება გამოყენებულ იქნას ენციკლოპედიები, ბიბლიოგრაფიული, ბიობიბლიოგრაფიული ლექსიკონები, სპეციალური ცნობარები, გაზეთები და სხვა მასალები.

§ 4. **ძირითადი აღწერილობის სახეობანი.** არსებობს ძირითადი აღწერილობის ორი სახე:

ა) აღწერილობა ავტორზე, ე. ი. აღწერილობა, რომელიც შედგენილია ავტორის გვარით (ინდივიდუალური ავტორი), აგრეთვე აღწერილობა დაწესებულების, ან ორგანიზაციის სახელწოდების მიხედვით (კოლექტიური ავტორი).

ბ) აღწერილობა სათაურზე.

§ 5. **აღწერილობის ელემენტები.** ძირითადი აღწერილობის ელემენტები ბარათზე გადაიტანება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) აღწერილობის თავსათაური (ავტორის გვარი და ინიციალე-ბი, დაწესებულების ან ორგანიზაციის დასახელება);

ბ) სათაური;

გ) ქვესათაურული ცნობები;

დ) ბეჭდილობის ცნობები;

ე) რაოდენობითი დახასიათება;

ვ) ზესათაურული ცნობები;

ზ) შენიშვნები.

იმისდამიხედვით თუ რა ცნობებია წიგნში მოცემული, ზოგიერთი ელემენტი შეიძლება გამოტოვებულ იქნას აღწერილობაში.

აღწერილობის ჩამოთვლილი ელემენტები შეიცავენ ძირითად ფაქტიურ ცნობებს ბეჭდვითი ნაწარმოების შესახებ. გარდა ამისა აღწერილობას შეიძლება თან ახლდეს ანოტაცია, რომელიც ხსნის წიგნის შინაარსს.

(მრავალტომიან გამოცემათა აღწერილობის ელემენტების შესახებ იხ. § 76).

§ 6. **საავტორო აღწერილობის ფორმა.** საბიბლიოთეკო კატალოგებისათვის და ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკებისათვის განკუთვნილ ბარათებზე აღწერილობის თავსათაური მოთავსებულია პირველ ჰორიზონტალურ სტრიქონზე. იწყება პირველი (მარცხენა) ვერტიკალური ხაზიდან. თუ თავსათაური არ თავსდება ერთ სტრიქონზე, მისი გაგრძელება იწერება შემდეგ სტრიქონებზე ნახევარი სმ დაშორებით მეორე (მარჯვენა) ვერტიკალური ხაზიდან.

სათაური იწერება ახალი სტრიქონით მეორე ვერტიკალური ხაზიდან (ე. ი. აბზაციდან). სათაურის შემდეგ იწერება ქვესათაური და ბეჭდილობის ცნობები. ჩანაწერის ყველა შემდეგი სტრიქონი იწყება პირველი ვერტიკალიდან. ბეჭდილობის ცნობები გამოიყოფიან ქვესათაურულ ცნობებიდან (თუ ქვესათაური არ არის — სათაურისაგან) 1 სმ ინტერვალით. თუ ბეჭდილობის ცნობები ახალი სტრიქონიდან იწყება, ისინი პირველი ვერტიკალიდან ჩაიწერება.

რაოდენობით დახასიათება მოიყვანება ახალი სტრიქონით მეორე ვერტიკალიდან (აბზაცით).

რაოდენობითი დახასიათების შემდეგ — ერთი სმ ინტერვალით — მრგვალ ფრჩხილებში ჩაიწერება ზესათაურული ცნობები, რომელნიც გაგრძელდებიან შემდეგ სტრიქონებში პირველი ვერტიკალიდან.

შენიშვნები და ანოტაცია დაიწერება ახალი სტრიქონით მეორე ვერტიკალიდან (აბზაცით) და გრძელდება შემდეგ სტრიქონებზე პირველი ვერტიკალიდან, თითოეული შენიშვნა იწყება ახალი სტრიქონით.

(მრავალტომიან გამოცემათა აღწერილობა იხ. § 76).

### საავტორო აღწერილობის სქემა კატალოგებისა და კარტოთეკებისათვის

აღწერილობის თავსათაური

სათაური. ქვესათაურული ცნობები ბეჭდილობის ცნობები.

რაოდენობითი დახასიათება. (ზესათაურული ცნობები).

შენიშვნები . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ანოტაცია . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

### აღწერილობის ნიმუში

გოგსაძე ს. ვ.

ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან. თბ., საქართველოს სახწიგნის პალატა, 1948.

112 გვ.; 29 ფ. ილ. (ქუთაისის სახ. ისტ.— ეთნოგრ. მუზეუმი).

ბიბლიოგრ.: გვ. 109—112.

ბიბლიოგრაფიულ საძიებლებსა და სიებში აღწერილობის თავსათაური ცალკე სტრიქონად არ გამოიყოფა, მაგრამ აიწყობა აბზაცით და შავი შრიფტით (საწერ მანქანაზე გადაბეჭდილ სიებში

ის მოცემულია ასომთავრული ასოებით). ბეჭდილობის ცნობები, რაოდენობითი დახასიათება და ზესათაურული ცნობები იბეჭდება უინტერვალოდ.

ბიბლიოთეკა

### საავტორო აღწერილობის სქემა ბიბლიოგრაფიულ საძიებლებსა და სიებისათვის

**აღწერილობის თავსათაური.** სათაური. ქვესათაურული ცნობები. ბეჭდილობის ცნობები. რაოდენობითი დახასიათება (ზესათაურული ცნობები).

შენიშვნები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ანოტაცია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

### აღწერილობის ნიმუში

**გოგსაძე ს. ვ.** ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან. თბ., 1948. 112 გვ.; 29 ფ. ილ. (ქუთაისის სახ. ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმი).
ბიბლიოგრ.: გვ. 109—112.

§ 7. **სათაურზე აღწერილობის ფორმა.** საბიბლიოთეკო კატალოგებისა და ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკებისათვის განკუთვნილი სათაურზე აღწერილობა იწყება პირველ ჰორიზონტალურ სტრიქონზე, პირველი ვერტიკალიდან და შემდეგში, საავტორო აღწერილობის ფორმისაგან განსხვავებით, გრძელდება (შენიშვნამდე) მეორე ვერტიკალიდან, ე. წ. „დაკიდებული სტრიქონის" წესით.

შენიშვნები და ანოტაცია განლაგებულია ისე, როგორც საავტორო აღწერილობაში.

### სათაურზე აღწერილობის სქემა კატალოგებისა და კარტოთეკებისათვის

**სათაური.** ქვესათაურული ცნობები. ბეჭდილობის ცნობები.
რაოდენობითი დახასიათება. (ზესათაურული ცნობები).
შენიშვნები . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ანოტაცია . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აღწერილობის ნიმუში

თანამედროვე პოეტები. (ლექსები). თბ., სახელ-
გამი, 1929.
16 გვ. (სასკოლო ბ-კა).
შინაარსი: ი. გრიშაშვილი. თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა; ზამთრის დილა. — ვ. გაფრინდაშვილი. კომუნარებს. — ვ. გორგაძე. ბრძოლა წიფის გვირაბთან 1905 წ. — ი. მოსაშვილი. ზაჰეს, შენ გიმღერ! — კ. ჭიჭინაძე. სამშობლოსადმი.

**ბიბლიოგრაფიულ საძიებლებსა და სიებში** სათაურზე აღწერა, ისევე როგორც საავტორო აღწერა, იწყება წითელი სტრიქონით და გრძელდება უაბზაცოდ. სათაურის პირველი სიტყვა (სიტყვები) აიწყობა შავი ასოებით (სიებში ასომთავრული ასოებით). შენიშვნები და ანოტაციები მოიყვანება აბზაცით.

## სათაურზე აღწერილობის სქემა ბიბლიოგრაფიულ საძიებლებისა და სიებისათვის

**სათაური.** ქვესათაურული ცნობები. ბეჭდილობის ცნობები. რაოდენობითი დახასიათება. (ზესათაურული ცნობები).
შენიშვნები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ანოტაცია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

## აღწერილობის ნიმუში

თანამედროვე პოეტები. (ლექსები). თბ., სახელგამი, 1929. 16 გვ. (სასკოლო ბ-კა).
შინაარსი. ი. გრიშაშვილი. თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა; ზამთრის დილა.—ვ. გაფრინდაშვილი. კომუნარებს. — ვ. გორგაძე. ბრძოლა წიფის გვირაბთან 1905 წ. — ი. მოსაშვილი. ზაჰეს, შენ გიმღერ! — კ. ჭიჭინაძე. სამშობლოსადმი.

§ 8. **აღწერილობის გადატანა მეორე ბარათზე.** როდესაც წიგნის აღწერილობა ვერ თავსდება ერთ ბარათზე, ჩანაწერი გადაიტანება მეორე ბარათზე, სადაც განლაგდება დადგენილი წესით, მაგრამ პირველი სტრიქონის გამოტოვებით. პირველი ბარათის ქვედა მარჯვენა კუთხეში ღეროსათვის განკუთვნილ ხვრეტის ზევით იწერება შემოკლებული სიტყვები „იხ. შემდ. ბარ. (=იხ. შემდეგი ბარათი). ასეთივე აღნიშვნა უკეთდება შემდეგ ბარათებს, თუ ჩანაწერი მათზედაც არ მოთავსდება.

პირველი, მეორე და შემდეგი ბარათები ინომრება არაბული ციფრებით, რომელნიც ბარათის შუა ნაწილში იწერებიან, მის ზედა კიდესთან. მეორე და სხვა მის მომდევნო ბარათების უკანა გვერდზე ქვემოთ უნდა იყოს ნაჩვენები ავტორი და წიგნის სათაური შემოკლებით.

ᲔᲠᲗ ᲑᲐᲠᲐᲗᲖᲔ ᲛᲝᲣᲗᲐᲕᲡᲔᲑᲔᲚ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

1

ქართველი მეცნიერები. [კრებული ვ. პარკაძის რედ.]. თბ., საბლიტგამი, 1951.
IV, 208 გვ. ილ.
შინაარსი: ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი— ისტორიკოსი.—ი. შაქარიშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი — გეოგრაფი. — ვ. პარკაძე. დავით ბატონიშვილი. —

იხ. შემდ. ბარ.

2

ვ. პარკაძე. პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონი. — გ. ხვედელიძე. ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილი.—ე. წულუკიძე. ვასილ მოსეს-ძე მელიქიშვილი.—გ. ჭოლოშვილი. გიორგი ნიკოლოზის-ძე ნიკოლაძე. — ელ. წითლაძე. ანდრია მიხეილის-ძე რაზმაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ბარათის უკანა გვერდი




§ 9. **შემოკლებანი აღწერილობაში.** აღწერილობის ყველა ელემენტებში, გარდა სათაურისა, დასაშვებია ცალკე სიტყვების შეკვეცა-შემოკლება. სათაურის ნაწილების (ან ელემენტების), ქვესათაურული, ბეჭდილობის და ზესათაურული ცნობების გამოტოვების შემთხვევები გათვალისწინებულია სათანადო პარაგრაფებში (იხ. §§ 19-გ. 23-ბ, 29-ა, გ., 42-გ, 53). ცალკეული სიტყვების შემოკლება ხდება ერთგვარად, თანახმად შემოკლებათა ცხრილისა (იხ. დანართი II).

შემოკლებანი დაუშვებელია იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი წინადადების აზრს ამახინჯებენ.

§ 10. **აღწერილობის ენა.** როგორც წესი, აღწერილობა წარმოებს წიგნის ტექსტის ენაზე. თუ წიგნში სათაური და ტექსტი მოცემულია რამდენიმე ენაზე, აღწერილობა კეთდება იმ ენაზე, რომელიც წიგნში სჭარბობს, თუ წიგნის სათაური და ტექსტი მოცემულია საბჭოთა კავშირის ხალხების ერთ-ერთ ენაზე, აღწერილობაც ამ ენაზე წარმოებს.

§ 11. **ორთოგრაფია.** ბეჭდვითი ნაწარმოების აღწერილობა კეთდება თანამედროვე ორთოგრაფიით, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ორთოგრაფიაა ნახმარი წიგნში.

§ 12. **ასომთავრული ასოები და სასვენი ნიშნები.** ასომთავრული ასოების და სასვენი ნიშნების აღწერილობის დროს გამოყენება უნდა იქნას გრამატიკის საერთო წესებით[1].

---

[1] ამ მხრივ სასარგებლო სახელმძღვანელო წიგნებია:

ვ. თოფურია და ი. გიგინეიშვილი—ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 1949. Былинский К. И. и Никольский, Н. Н. Справочник по орфографии и пунктуации для работников печати. М., 1952.

§ 13. **ფრჩხილები.** აღწერილობაში მიღებულია ორგვარი ფრჩხილები:

ა) მრგვალი ფრჩხილები ( )—გამოყენებული უნდა იქნას ყველა იმ სახეობის ფრჩხილების შემცვლელად, რომელიც წიგნში გვხვდება; მრგვალ ფრჩხილებში მოთავსდება აგრეთვე ზესათაურული ცნობები.

ბ) კვადრატული ფრჩხილები [ ] — გამოყენებულ უნდა იქნას იმ ცნობებისათვის, რომელნიც აღწერილობის ტექსტს დაერთვიან ბიბლიოთეკარის საკუთარი ფორმულირებით.

§ 14. **რიცხვითი სახელები.** როგორც წესი, აღწერილობაში რიცხვითი სახელები რჩებიან იმ ფორმით, როგორც ეს მოცემულია წიგნში. გამონაკლისს წარმოადგენენ მითითებანი გამოცემის გამეორებათა შესახებ, პიესის მოქმედებათა, ან აქტების რაოდენობა, მრავალტომიანი გამოცემების ტომებისა და სერიათა ნაკვეთების ნუმერაცია, აგრეთვე გამოცემის წელი; ეს ცნობები ყოველთვის იწერება არაბული ციფრებით.

| წიგნში: | აღწერილობაში: |
|---|---|
| პირველი მაისი | პირველი მაისი |
| დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34 წელი | დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34 წელი |
| 30 წელი. ლიტერატურულ მხატვრული კრებული | 30 წელი. ლიტ.—მხატვრ. კრებული |
| წელი ოცდამეთოთხმეტე | წელი ოცდამეთოთხმეტე |
| სიტყვა სკპ (ბ) XVIII ყრილობაზე | სიტყვა სკპ XVIII ყრილობაზე |
| VII კლასისათვის | VII კლასისათვის |
| მაგრამ | |
| ოთხმოქმედებიანი | 4 მოქმ. |
| გამოც. II | გამოც. მე-2 |
| მეოთხე შევსებული გამოცემა | მე-4 შევს. გამოც. |
| ტომი III | ტ. 3. |
| სამეცნიერო-პოპულარული ბიბლიოთეკა, ნაკვ. VII | სამეცნ.-პოპულ. ბ-კა. ნაკვ. 7 |

## ბ) წესები, რომლებიც აღწერილობის ცალკეულ ელემენტებს ეხება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**§ 15. აღწერილობის თავსათაური.** იმისათვის, რომ ამა თუ იმ ავტორის და აგრეთვე ამა თუ იმ დაწესებულება-ორგანიზაციის ნაწარმოებს და ოფიციალურ გამოცემებს თავი მოუყაროთ კატალოგში ერთ ადგილზე, აღწერილობის თავსათაური ერთგვარი ფორმით უნდა იყოს მოცემული, მიუხედავად იმისა, როგორ არის ავტორი (ინდივიდუალური თუ კოლექტიური) წარმოდგენილი გამოცემაში.

**§ 16. სათაური.** ზოგადი წესი. ა) აღწერილობაში სათაური უნდა მოვიყვანოთ მთლიანად ისე, როგორც ეს მოცემულია წიგნში. სათაურში შეიძლება გამოტოვებული იქნას მხოლოდ ავტორის გვარი (იხ. § 42 გ.) და კოლექტიურ ავტორზე აღწერილობისას—დაწესებულება-ორგანიზაციის დასახელება (იხ. § 53).

ბ) თუ წიგნის სათაური გაურკვეველია ან დაუმთავრებელია, იგი განმარტებულ უნდა იქნას დამატებითი ცნობებით, რომლებიც, როგორც წესი, მოცემულია ქვესათაურულ ცნობებში (იხ. § 20). ცალკე შემთხვევაში, გაურკვეველი ან არასრული სათაური შეიძლება დაზუსტებულ იქნას რამდენიმე სიტყვის დამატებით.

> ხუნდაძე ს.
> ნარკვევები [ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ბ. ჟღენტის შესავალი წერილით „სიმონ ხუნდაძე"]. თბ., „ფედერაცია", 1941.
> 410 გვ.; 1 ფ. პორტრ.

**§ 17. სათაურის უქონლობა.** თუ წიგნს, რომელიც წარმოადგენს ერთი ავტორის თხზულებებს, ან შრომათა კრებულს, სათაური არა აქვს და მოცემულია ავტორის მხოლოდ გვარი ან გვარი და სახელი (ინციალები), სათაური სდგება ბიბლიოთეკარის მიერ და ის ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში: [თხზულებანი], [შრომების კრებული] და სხვა.

| წ ი გ ნ შ ი: | ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა შ ი: |
|---|---|
| ნიკო ლორთქიფანიძე. | ლორთქიფანიძე ნ.<br>[თხზულებანი] |
| გიორგი ქუჩიშვილი. | ქუჩიშვილი გ.<br>[ლექსები] |

§ 18. **კითხვასხვაობა სათაურში.** ა) იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნის გარეკანზე დაბეჭდილი სათაური მნიშვნელოვნად განსხვავდება თავფურცელზე მოცემულ სათაურისაგან, კითხვასხვაობა მითითებულ უნდა იქნას შენიშვნაში, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: გარეკანზე სათაური:... ან გარეკანზე:... (თუ გარეკანზე ნაჩვენებია აგრეთვე ავტორი).

ფაბქარხადგილკომების დასახმარებლად. მასალების კრებული საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების მუშაობის შესახებ. თბ., საქმედგამი, 1947.
251 გვ. (მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის ც. კ.)
ტექსტის ბოლოს: პ/მგ. რედ. ს. კობალაძე.
კანზე სათაური: მასალების კრებული ფაბქარხადგილკომების დასახმარებლად.

ყურაშვილი ა.
პ. ტ. ე. ს.—ის უჯრედის სათხილამურო — ტურისტული მუშაობა. რუსულიდან გადმოკ. ა. ყურაშვილის მიერ, ტფ., საქ. პტესის ც. ს. საგამომც. სექტ., 1933.
23 გვ. ილ. (საქ. პროლეტ. ტურიზმის და ექსკურსიათა საზ-ბა).
კანზე სათაური: სათხილამურო ტურიზმი.

დამხმარე ბიბლიოგრაფიულ **სახელმძღვანელოებში** შენიშვნა სათაურის კითხვა-სხვაობის შესახებ შეიძლება არ გაკეთდეს.

ბ) თუ წიგნის თავფურცლის სათაური იმდენად განსხვავდება გარეკანის სათაურისაგან, რომ გარეკანის სათაურის მიხედვით მისი პოვნა ანბანურ კატალოგში დამატებითი აღწერილობის გარეშე შეუძლებელია, კეთდება დამატებითი აღწერილობა გარეკანის სათაურზე. თუ წიგნის გარეკანზე შეცვლილი სათაურის გარდა დასახელებულია ავტორიც, დამატებითი აღწერილობა, როგორც წესი, არ კეთდება.

§ 19. **ქვესათაურული ცნობები.** ა) წიგნში ნაჩვენები ქვესათაურულ ცნობებიდან აღწერილობაში გადაიტანება ისეთი ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ გამოცემის, დახასიათებისა და ინდივიდუალიზაციისათვის. კერძოდ აღწერილობაში მოყავთ:

1. ცნობები, რომლებიც ხსნიან და აზუსტებენ წიგნის შინაარსს.

ლომთათიძე გ.
წინაპართა ნაკვალევი. საქართველოს არქეოლოგიური ნარკვევები. თბ., საბლიტგამი, 1952.
207 გვ. ილ.

2. ნაწარმოების ჟანრისა და ფორმის განსაზღვრა (რომანი, პიესა, ალბომი და ა. შ.).

3. ხელმძღვანელი პოლიტიკური მოღვაწის მიერ ჩატარებული მოხსენებების თარიღი და ადგილი.

4. როგორი მკითხველებისათვის არის განკუთვნილი ნაწარმოები. (აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის, უფროსი ასაკის ბავშვებისათვის და ა. შ.).

F 17.986/3

5. იმ პირთა გვარები და ინიციალები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ წიგნის შედგენაში (რედაქტორები, მთარგმნელები, წინასიტყვაობისა და შესავალი სტატიის ავტორები, მხატვრები და სხვ.), სამეცნიერო ხარისხის, სამეცნიერო, საპატიო და სამხედრო წოდების აღნიშვნით. ქვესათაურულ ცნობებში აღნიშნულ პირთა შესახებ ცნობები აღწერილობაში შეიტანება ისე, როგორც ეს მოცემულია წიგნში. ინიციალები არ გადაინაცვლება.

თუ წიგნის რედაქტორების ან მთარგმნელების და მისთ. რიცხვი სამი ან მეტია, აღწერილობაში ნაჩვენები იქნება ცნობები მხოლოდ პირველის შესახებ, შემოკლებული სიტყვების [და სხ.]. დართვით. იმ შემთხვევებში, როდესაც რედაქტორთა შორის ურევია ხელმძღვანელი პოლიტიკური მოღვაწეები, ცნობილი მეცნიერები ან მწერლები, აღწერილობაში მოიყვანება ყველას გვარები.

**შენიშვნა:** სამეცნიერო ხარისხისა და წოდების ჩვენება არ არის სავალდებულო ყველა ბიბლიოთეკისათვის, მაგრამ საპატიო წოდებანი — სტალინური პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი — აღინიშნებიან ყველა შემთხვევაში.



საჯარო ბიბლიოთეკა

6. გამოცემათა გამეორების აღნიშვნა, რომელიც ყოველთვის ხდება არაბული ციფრებით, მაგრამ სიტყვების გადაუნაცვლებლად.

ბ) ქვესათაურული ცნობები აღწერილობაში, როგორც წესი, მოყვანილ უნდა იქნას იმავე ფორმით და თანამიმდევრობით, როგორც ეს მოცემულია წიგნში. იმ შემთხვევებში, როდესაც ქვესათაურული ცნობების ცალკე ნაწილები (მაგალითად ნაწარმოების ფორმის აღნიშვნა, რომელსაც აქვს დამახასიათებელი სათაური, სიტყვები „ოფიციალური გამოცემა") სათაურის წინ არის დაბეჭდილი, აღწერილობაში მოიყვანება სათაურის შემდეგ.

| წიგნებში: | აღწერილობაში: |
|---|---|
| მხატვრული კრებული „რემედას" | „რემედას". მხატვრული კრებული |
| პოემა განდეგილი. | განდეგილი. პოემა. |

გ) ქვესათაურულ ცნობებში, როგორც წესი, არ მოიყვანება:

1. იმ პირთა გვარები, რომელთა „მონაწილეობითაც" ჩატარებულ იქნა სამუშაო.

2. რედაქტორის გვარი—იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის მოყვანილი თავფურცელზე, და არსებითად არაფერს უმატებს წიგნის დახასიათებას.

3. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა, თუ უკანასკნელთან ერთად გვაქვს მთავარი ან პასუხისმგებელი რედაქტორის გვარი.

4. ილუსტრატორთა გვარები, მოცემული ბეჭდილობის ცნობებში.

5. წიგნის გამფორმებელი მხატვრების გვარები.

6. მითითება თანამდებობაზე.

7. ლექციის ან სამეცნიერო მოხსენების ჩატარების ადგილი და თარიღი.

8. ილუსტრაციების რაოდენობისა, მათი რიცხვისა და ხასიათის აღნიშვნა, თუ ამავე დროს არ არის მოყვანილი მხატვრის გვარი.

9. ცნობები საუწყებო გამოცემათა დამტკიცებისა ან მოწონების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძირითად ან დამხმარე სახელმძღვანელოთა აღწერის დროს ცნობებიდან მოწონების ან რეკომენდირების შესახებ, მოიყვანება მარტოოდენ მითითება წიგნის დანიშნულებაზე და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სათაურით ან ზესათაურული და ქვესათაურული ცნობებით არ არის გარკვეული.

| წ ი გ ნ შ ი: | ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა შ ი: |
| --- | --- |
| სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარედაქციო კოლეგიის მიერ დაშვებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სასოფ.-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. | სახელმძღვანელო სას.-სამ. უმაღლ. სასწავლებლებისათვის. |

§ 20. **ქვესათაურული ცნობების დამატება.** თუ სათაური და ქვესათაურული ცნობები არ იძლევიან საკმაო წარმოდგენას წიგნის შინაარსის შესახებ, თუ როგორი მკითხველისათვის არის ის განკუთვნილი, რა ლიტერატურული ფორმისაა და სხვა—ეს ცნობები სასურველია აღებულ იქნას წიგნის სხვა ადგილებიდან, ან და ფორმულირებული წიგნის ტექსტის საფუძველზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს ცნობები უნდა მოთავსდეს კვადრატულ ფრჩხილებში [ ].

კერძოდ დაემატება:

ა) ცნობები, რომელნიც არკვევენ და აზუსტებენ წიგნის შინაარსს.

ტინიანოვი ი.
კუხლია. რომანი. [ვ. კ. კიუხელბეკერის ცხოვრებიდან]. თარგმ. ქ. ირემაძისა. თბ., საბლიტგამი, 1946.
422 გვ.

სტალინური თაობა. [კრებული აჭარის საბჭოთა მწერალთა ნაწარმოებებისა, მიძღვნილი სახელოვან კომკავშირის 20 წლისთვისათვის[. ბათუმი, აჭარის სახელგამი, 1938.
31 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Филиппов А. К.**
За передовые коэфициенты. [Из опыта работы мастера доменного цеха завода им. Дзержинского]. М., Профиздат, 1951.
64 стр. (Стахановцы новой сталинской пятилетки).

(სათაურის წინ მოცემულია ცნობები ავტორზე: Александр Филиппов, мастер печи № 7 доменного цеха завода им. Дзержинского).

ბ) ცნობები, რომლებიც პიროვნების, ან დაწესებულება-ორგანიზაციის, ან ადგილის ინდივიდუალიზაციას ახდენენ და რომლის შესახებაც ლაპარაკია წიგნში.

**კარპინსკი ვ.**
გლეხობის პროლეტარული ბელადი. [ვ. ი. ლენინი]. თარგმ. რუსულიდან. თბ., სახელგამი, 1924.
15 გვ. (ლენინის ბ-კა).

**ზაქარია პ.**
წულრულაშენი. [ტაძარი ბოლნისის რაიონში]. თბ., 1952.
72 გვ. ილ; 20 ფ. ილ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია).
ბიბლიოგრ.: გვ. 68.

გ) ცნობები წიგნის ხასიათისა, ლიტერატურული ფორმისა ან ჟანრის შესახებ.

**თბილისის 1-ლი საბავშვო ბაღი.**
[წერილების კრებული] თბ., 1951.
280 გვ. ილ. (საქ. სსრ განათლ. სამინისტროს პედ. მეცნ. ინსტ-ტი.)

**ბერიძე ი.**
ჩემი შვილები [ლექსები]. ბათუმი, აჭარის სახელგამი, 1953.
84 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი მკითხველებისათვის არის განკუთვნილი წიგნი.

> **მარიჯან.**
> **ბედნიერი თაობა. [საბავშვო მოთხრობები]. თბ., საბლიტგამი, 1938.**
> **180 გვ. ილ.**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ აღწერილობას თან ახლავს ანოტაცია (ბიბლიოგრაფიული საძიებლები და კარტოთეკები, ანოტირებული დაბეჭდილი ბარათები), დამატებითი ცნობები ქვესათაურში როგორც წესი არ შეიტანება და გამოყენებული იქნება ანოტაციისათვის.

§ 21. **ბეჭდილობის ცნობები.** ბეჭდილობის ცნობები შეიცავენ მითითებებს: გამოცემის ადგილზე, გამომცემლობაზე და გამოცემის წელზე; ბეჭდილობის ცნობის ცალკე ელემენტები გამოიყოფა მძიმეებით. გამოცემის წლის აღნიშვნის შემდეგ იწერება წერტილი.

§ 22. **გამოცემის ადგილი:** ა) გამოცემის ადგილის დასახელება მოყვანილი უნდა იქნას მთლიანად. შეიკვეცებიან მხოლოდ ქალაქების სახელები: თბილისი— თბ., Москва — М, Ленинград—Л.

ბ) თუ წიგნში ნაჩვენებია გამოცემის ორი ადგილი, აღწერილობაშიც მოცემულ უნდა იქნას იმავე სახით, როგორც ეს გამოცემაზეა. (მაგალითად მოსკოვი — კუიბიშევი), მაგრამ მოსკოვი — ლენინგრადი რუსულად იწერება М. — Л. თუ გამოცემის ადგილი სამი ან უფრო მეტია, აღწერილობაში უჩვენებენ პირველს, სიტყვების [და სხვ.] დამატებით მაგალითად მოსკოვი, ლენინგრადი, სვერდლოვსკი დაიწერება „მ. [და სხვ.]“ „М. [и др.]“.

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნზე გამოცემის ადგილი არ არის აღნიშნული, მაგრამ ამის გაგება შეიძლება გამომცემლობის დასახელებიდან, ქალაქის დასახელება დაიწერება ფრჩხილებს გარეშე, ხოლო საოლქო ან სამხარეო გამომცემლობის დასახელება ტოპოგრაფიული ზედსართავი სახელის გარეშე. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ქალაქის სახელი სხვაა, ხოლო ოლქისა და მხარის

სახელწოდება სხვა—გამომცემლობის დასახელება დაიწერება სრუ-ლად.

| წ ი გ ნ შ ი: | ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა შ ი: |
|---|---|
| „საბჭოთა მწერალი“ | თბ., „საბჭ. მწერალი“ |
| «Московскй рабочий» | М., «Моск. рабочий»: |
| Архангельское областное издательство | Архангельск, Обл. изд. |
| Закарпатское областное издательство | Ужгород, Закарпат. обл. изд. |

დ) იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნში გამოცემის ადგილი დასახელებული არ არის და მისი დადგენა შეუძლებელია, აღწერილობაში იწერება ადგ. არ. (ადგილი არ არის). (Б. м. без места).

§ 23. **გამომცემლობა.** ა) გამომცემლობის დასახელება მოყვანილ უნდა იქნეს ყოველთვის სახელობით ბრუნვაში, შესაძლებისდაგვარად შემოკლებულად (იხ. დამატება III). დამახასიათებელი დასახელებანი ფრჩხილებში უნდა იქნას ჩასმული: „საბჭოთა მწერალი“, „ტექნიკა და შრომა“, „ფედერაცია“ და სხვ.

ბ) გამომცემლობის შესახებ ცნობებიდან აღწერილობაში არ გადაიტანება: სიტყვები „გამოცემა“ და „გამომცემლობა“, თუ ეს უკანასკნელი გამომცემლობის დასახელების აუცილებელ ნაწილს არ წარმოადგენს, აგრეთვე სიტყვები: „აქციონერული საზოგადოება“, „კოოპერაციული გამომცემლობა“ და ა. შ.

| წ ი გ ნ შ ი: | ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა შ ი: |
|---|---|
| საქ. სსრ განათლების სამინისტროს გამოცემა. | საქ. სსრ განათლების სამინისტრო. |
| საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. | საქართველოს სსრ მეცნ. აკად. |
| გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“. | „ტექნიკა და შრომა“. |
| მაგრამ: | |
| Издательство литературы на иностранных языках | Изд. лит. на иностр. яз. |

2. ორგანიზაციის და დაწესებულების დასახელება, რომელთანაც გამომცემლობა არსებობს, ან საგამომცემლო გაერთიანების დასახელება, რომლის შემადგენლობაშიც ის შედის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| წ ი გ ნ შ ი: | ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა შ ი: |
| --- | --- |
| საქ. ალკკ. ც. კ. საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა. | საბლიტგამი |
| Детиздат ЦК ВЛКСМ | Детиздат |
| ОГИЗ Соцэкгиз | Соцэкгиз |
| ОНТИ. Госмашметиздат | Госмашметиздат |

მაგრამ:

| | |
| --- | --- |
| ОНТИ. Главная редакция химической литературы | ОНТИ. Глав. ред. хим. лит. |

3. განყოფილების, ფილიალის და სხვ. დასახელება.

| წ ი გ ნ შ ი: | ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა შ ი: |
| --- | --- |
| Ленинградское отделение Медгиз. | Л., Медгиз |

4. ცნობები ორდენებით დაჯილდოების შესახებ.

გ) თუ წიგნში ნაჩვენებია ორი გამომცემლობა, აღწერილობაში გადაიტანება ორივეს დასახელება და მათ შორის დაისმის ხაზი (—).

დ) თუ წიგნში გამომცემლობა არ არის ნაჩვენები, მაშინ ბეჭდილობით ცნობაში მოყვანილი იქნება მხოლოდ გამოცემის ადგილი და წელი.

§ 24. **გამომცემლობის დასახელებისა და ზესათაურული ცნობების დამთხვევა.** იმ შემთხვევაში, თუ წიგნში გამომცემლობის სახით დასახელებულია დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელიც აგრეთვე ზესათაურშია ნაჩვენები—ბეჭდილობით ცნობებში გამომცემელი არ შეიტანება.

ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ

კიკვიძე ა.
დავით აღმაშენებელი. თბ., 1942.
55 გვ. (სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტი).
ბიბლიოგრ.: გვ. 54—55.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავფურცელზე:

სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# დავით ალმაშენებელი

სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტ. გამომცემლობა

თბილისი 1942

იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების დასახელება ნაჩვენებია ორჯერ, მაგრამ ზესათაურულ ცნობებში მოყვანილია აგრეთვე მისი დაქვემდებარებული დაწესებულება ან ორგანიზაცია, გამომცემელი ორგანიზაციის (კოლექტივის) დასახელება ბეჭდილობის ცნობებში დაიწერება უცვლელად.

აღწერილობაში

ხარაძე ე.
მზის დაბნელება 1945 წლის 9 ივლისს. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკადემია, 1945.
18 გვ. ილ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავფურცელზე:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

ევგენი ხარაძე

# მზის დაბნელება

1945 წლის 9 ივლისს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1945

§ 25. **გამოცემის წელი.** ა) გამოცემის წელი აღწერილობაში აღინიშნება არაბული ციფრებით, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის ნაჩვენები ის წიგნში. სიტყვა „წელი“, აგრეთვე თვისა და რიცხვის დასახელება არ იწერება.

ბ) თუ წიგნის თავფურცელზე ნაჩვენები გამოცემის წელი განსხვავდება წიგნის გარეკანზე მოცემული წლისაგან, მაშინ ბეჭდილობის ცნობებში წლის აღნიშვნის შემდეგ, რომელიც თავფურცელიდან არის აღებული, მძიმის შემდეგ დაისმება თარიღი, რომელიც არა თავფურცელზეა აღნიშნული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| წიგნში: | აღწერილობაში: |
|---|---|
| კანზე: 1947; | 1946, კანზე: 1947. |
| თავფურცელზე: 1946. | |

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნში არ არის ნაჩვენები გამოცემის წელი და მისი დადგენა წიგნის მეშვეობით შეუძლებელია, ბეჭდილობით ცნობებში აღინიშნება: წ. ა. (=წელი არ არის) б. г. (без года).

§ 26. **რაოდენობითი დახასიათება.** რაოდენობითი დახასიათება შეიცავს გვერდების რაოდენობასა და წიგნში დასურათებულ მასალის (ილუსტრაციის) აღნიშვნას.

27. **გვერდების რაოდენობის აღნიშვნა:** ა) რაოდენობითი დახასიათებაში მოყვანილ უნდა იქნას წიგნის გვერდების ფაქტიური რაოდენობა, სარჩევის, ბიბლიოგრაფიის, დამატებების (საძიებელი, ცხრილები) და სხვა მასალების ჩათვლით, რომელნიც წიგნის შინაარსს შეეხებიან. წიგნის დაუნომრავი გვერდები მიემატება დანომრილს. გვერდების რაოდენობის აღნიშვნის შემდეგ დაემატება შემოკლებული სიტყვა „გვ.", „стр". [1]). თუ წიგნში გვერდების მაგიერ დანომრილია ფურცლები ან სვეტები, აღწერილობაში ამის შესატყვისად დაიწერება „ფ", (=ფურცელი) ან „სვ" [სვეტი]. „л" (=листы), „стлб." (=столбцы).

242 გვ.
22 ფ.
368 სვ.

ბ) როდესაც წიგნში ორი ან სამი ცალკეული ნუმერაციაა, აღწერილობაში ისინი მოყვანილ უნდა იქნენ თანმიმდევრობით და მძიმეებით გამოყოფილნი; ამ შემთხვევაში რომაული ციფრები არაბულით არ შეიცვლება.

22, 437 გვ.
XIV, 210 გვ.
100, III გვ.
10 გვ., 1060 სვ.
VIII, 154, II გვ.

[1]) ბიბლიოგრაფიულ საძიებელსა და დაბეჭდილ ბარათებში რუსულად გვერდების აღნიშვნა ხდება ასე „С"-თი.

გ) თუ წიგნი შეიცავს სამზე მეტ ცალკეულ სხვადასხვა გვერდობლივ ნუმერაციას, აღწერილობაში უჩვენებენ გვერდების საერთო რიცხვს ფრჩხილებში (კავებში).

| წიგნში: | აღწერილობაში: |
|---|---|
| 42, 36, 25, 51 გვ. | [154] გვ. |

დ) იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნს სრულიად არა აქვს დანომრილი გვერდები (ან ფურცლები), უნდა დაითვალოს საერთო რიცხვი გვერდებისა და ჩაისვას ფრჩხილებში.

§ 28. **ილუსტრაციები.** ა) წიგნის აღწერილობაში ილუსტრირებული მასალის ჩვენებისას, ანსხვავებენ შემდეგ შემთხვევებს:

1. თუ ილუსტრაცია მოცემულია ტექსტში, ე. ი. ის აღრიცხულია გვერდთა საერთო ნუმერაციაში, ამ შემთხვევაში გვერდების რიცხვის აღნიშვნას დაემატება სიტყვა ილ. (=ილუსტრაციებით).

| | |
|---|---|
| 138 გვ. ილ. | 138 стр. с илл. |
| XVI, 420 გვ. ილ. | XVI, 420 стр. с илл. |

2. თუ ილუსტრაციები დაბეჭდილია ფურცლებზე, ჩაწებებული, ან ჩადებულია წიგნში, ფურცლები დათვლილ უნდა იქნას და მათი რიცხვი ნაჩვენები რაოდენობით დახასიათებაში, გვერდების რიცხვისა და ილუსტრაციის შემდეგ.

| | |
|---|---|
| 95 გვ.; 6 ფ. ილ. | 95 стр.; 6 л. илл. |
| 120 გვ. ილ.; 2 ფ. ილ. | 120 стр с илл.; 2 л. илл. |

ბ) იმ შემთხვევებში, როდესაც ილუსტრაციები ტექსტში ან ჩართულ ფურცლებზე ერთგვარია, რაოდენობით დახასიათებაში სიტყვა ილ. შეიცვლება ილუსტრაციის სახეობის შემოკლებული დასახელებით.

82 გვ. პორტრ.
152 გვ.; 5 ფ. რუკ.
V, 126 გვ. ილ.; 3 ფ. ნახაზ.
180 გვ. ნოტ.; 10 ფ. პორტრ.

გ) თუ ილუსტრაციები წიგნში სხვადასხვაგვარია, მაგრამ ზოგიერთი სახეობა ილუსტრაციისა ავსებს წიგნის დახასიათებას (მაგალ. მოგზაურობის წიგნს დართული აქვს რუკები), ეს ილუსტრაციები აღინიშნება რაოდენობით დახასიათებაში.

| | |
|---|---|
| 215 გვ., ილ., პორტ. | 215 стр. с илл., портр. |
| 424 გვ. ილ.; 15 ფ. ილ.; რუკა. | 424 стр. с илл.;15 л. илл. карт. |

§ 29. **ზესათაურული ცნობები.** ზესათაურულ ცნობებს მიეკუთვნებიან: დაწესებულების ან ორგანიზაციის სახელწოდებანი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ან პასუხისმგებელნი არიან წიგნის გამოცემაში; აგრეთვე სერიის სათაური.

ზესათაურული ცნობები მოიყვანება აღწერილობაში რაოდენობითი დახასიათების შემდეგ 1 სმ ინტერვალით და ჩაისმება მრგვალ ფრჩხილებში. ამასთანავე დაცული უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) დაწესებულების ან ორგანიზაციის სახელწოდება, რომელიც მოცემულია წიგნში სერიის სათაურის წინ ან მის შემდეგ, აღწერილობაში მოიყვანება ყოველთვის სერიის სათაურის წინ და მისგან იყოფა წერტილით.

| წ ი გ ნ შ ი: | ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა შ ი: |
|---|---|
| თავფურცელზე: სსრკ ელექტრომრეწველობის სამინისტრო. ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ბიურო. კანზე: წარმოების ნოვატორები. | (სსრკ ელექტრომრეწველობის სამინისტრო. ტექინფორმაციის ცენტრ. ბიურო. წარმოების ნოვატორები). |

**ბიბლიოგრაფიულ საძიებლებსა და სიებში** შეიძლება გამოტოვებულ იქნას მითითება იმ დაწესებულებაზე, რომელიც ხელმძღვანელობს დაწესებულებას ან ორგანიზაციას, ვისი სახელითაც ქვეყნდება გამოცემა.

| წ ი გ ნ შ ი: | ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა შ ი: |
|---|---|
| საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემია. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი. | (მცენარეთა დაცვის ინსტ-ტი). |
| — | — |
| საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენის და პროფდაავადებათა სამეცნიერო ინსტიტუტი. | (შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა საკვლ.-სამეცნ. ინსტ-ტი). |

ბ) სერიის სათაურის შემდეგ ნაჩვენები უნდა იყოს არაბული ციფრით ნაკვეთის რიგითი ნომერი, რომელიც სერიის სათაურიდან გამოიყოფა წერტილით. თუ სერიასთან ერთად გამოცემაში მოყვანილია ქვესერიის დასახელება, ის ჩაიწერება სერიის სათაურის შემდეგ, აგრეთვე ნაკვეთის ნომერის შენარჩუნებით.

კულტსაგანმანათლებლო მუშაობის პრაქტიკა. ნაკვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის უწყებები. ნაკვ. 36. ფსიქოლოგიის ინსტ-ტის შრომები.

გ) სერიის რედაქტორები აღწერილობაში არ მოიყვანება.

§ **30. ტირაჟის და ფასის ჩვენება.** ტირაჟი და ფასი ბარათში არ მოიყვანება.

**ბიბლიოგრაფიულ საძიებელში** და დაბეჭდილ ბარათებში საჭიროების შემთხვევაში ტირაჟი და ფასი მოიყვანება ზესათაურული ცნობების შემდეგ.

§ **31. შენიშვნები.** შენიშვნებში მოგვყავს ცნობები, რომელნიც ავსებენ წიგნის დახასიათებას. შენიშვნების ფორმულირება უნდა იყოს სხარტი, ნათელი და ზუსტი. თითოეული შენიშვნა ჩაიწერება ახალი სტრიქონით (აბზაცი). ისეთი შენიშვნები, რომელთაც ხშირად ვხვდებით აღწერილობაში მოიყვანება განსაზღვრული წესის დაცვით, ერთგვარი ფორმულირებით:

ა) ცნობები ავტორის შესახებ მოიყვანება შემდეგ შემთხვევებში: როდესაც არსებითი განსხვავებაა ავტორის გვარში, წიგნზე და აღწერილობის თავსათაურში.

სათაურის წინ; ავტ.: ნ. შჩედრინი. (მ. ე. სალტიკოვი).

თუ ავტორის გვართან ერთად ნაჩვენებია მისი სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო, საპატიო, ან სამხედრო წოდება.

ბერძენიშვილი ნ.
გამარჯვება. რუმინია — ბულგარეთში მოგზაურობიდან. თბ., 1949.
69 გვ. ილ. (საქ. პოლიტ. და მეცნ. ცოდნის გამავრც. საზ-ბა).
სათაურის წინ ავტ.: ნ. ბერძენიშვილი სსსრ მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი.

მილძიხოვი ხ.
უკანასკნელ ვაზნამდე ვურტყამ გერმანელ დამპყრობლებს! თბ., სამხედრო გამ-ბა, 1942.
8 გვ.
სათაურის წინ ავტ.: საბჭოთა კავშირის გმირი ხაზიმურზა მილძიხოვი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ბიბლიოთეკები, რომლებიც გვართან ერთად არ უჩვენებენ სა-მეცნიერო ხარისხს და წოდებას—სათანადო შენიშვნებს არ აკეთებენ.

თუ წიგნში არის ოთხი ან უფრო მეტი ავტორი.

სათაურის წინ: კლ. შარაშენიძე, მ. კუჭაიძე, ი. ტურაშვილი [და სხვ.].

შენიშვნებს უკეთებენ აგრეთვე მაშინაც, თუ ავტორი არაა ნაჩვენები თავფურცელზე ან გარეკანზე.

| | |
|---|---|
| ავტ. ნაჩვ თავფ. მე-2 გვ. | Авт. указан на обороте тит. л. |
| თავფ. მე-2 გვ. შემდგ:.... | На обороте гит. л. сост.... |
| გარეკანზე ავტ. არ არის ნაჩვ. | На обл. авт. не указан. |

**დამხმარე ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოში** არ იწერება შენიშვნა იმის შესახებ, თუ სად არის მოყვანილი ავტორის გვარი და რომ ის არ არის გარეკანზე აღნიშნული. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა, რომ დაცულ იქნას ცნობა ავტორის შესახებ — შენიშვნა იწყება სიტყვებით: „ავტ.“.

ავტ.—სტალინური პრემიის ლაურეატი.

ავტ.: კლ. შარაშენიძე, მ. კუჭაიძე, ი. ტურაშვილი (და სხვ.).

ბ) ცნობები სტალინური პრემიისა და მშვიდობის საერთაშორისო პრემიების მინიჭების შესახებ, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ცნობები გამოცემაში აღნიშნული არ არის, საჭიროა ისინი მოყვანილ იქნას სპეციალური ცნობარებიდან და გაზეთებიდან.

მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია 1951 წელს.

გ) ცნობები სათაურის შესახებ — არსებითი განსხვავება სათაურისა თავფურცელზე და გარეკანზე.

კანზე სათაური: აგიტატორის დასახმარებლად.

დ) ცნობები წიგნის ტექსტის ან მისი ნაწილის ენის შესახებ, თუ სათაური არ იძლევა ამაზე წარმოდგენას.

ტექსტი რუსულ და ქართულ ენებზე.
ტექსტი პარალელურად ქართულ და უკრაინულ ენებზე.

ე) ცნობები წიგნის შინაარსის შესახებ საჭიროა იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე წესებში (იხ. § 89, § 95).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღე.
მასალები მოხსენებისათვის. თბ., საბლიტგამი, 1939.
80 გვ.
თავფ. მე-2 გვ. შემდ.: მ. ვოლფვი, ნ. სლუცკერი, ი. ჩეჩეტკინა.
შინაარსი: ახალი თაობის პრობლემები. ახალგაზრდობის საბრძოლო განწყობილება იზრდება. ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. სოციალისტური ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა.

Вот она, Америка! Сборник памфлетов, расказов и очерков о Соединенных Штатах Америки. М., «Молодая гвардия», 1949.
264 стр.; 10 л. илл.
На обороте тит. л. сост.: Е. Пральников.
Содерж.: М. Горький. В Америке. Мои интервью. — В. Вилль-Белоцерковский. Там, где «Статуя Свободы». — В. Маяковский. Мое открытие Америки. — Э. А. Хамадан. Американские силуэты. — Ю. Жуков. Американские заметки.

ვ) ცნობები იმის შესახებ, რომ თხზულებას აქვს გაგრძელება, ან თვითონ არის გაგრძელება სხვა გამოცემისა.

გაგრძელება რომანისა: „თავგადასავალი ბესიკი გაბაშვილისა".

ზ) ცნობები წიგნში მოცემულ ბიბლიოგრაფიის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც ბიბლიოგრაფია დროულია როგორც საგანგებო ნუსხა, ან მიმოხილვა წიგნის დასასრულს, ან ცალკე თავების, ნაწილების და წერილების ბოლოს.

ბიბლიოგრაფიის არსებობა აღწერილობაში აღინიშნება შემდეგი სახით:

ბიბლიოგრ.: გვ. 250—252.

ბიბლიოგრ. თავების ბოლოს.

**დამხმარე ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებში** შენიშვნების რაოდენობა შეიძლება შემცირებულ იქნას. იმ აღწერილობებს,

რომელთაც ანოტაციები ახლავთ, რიგი ცნობებისა მოყვანილია თვით ანოტაციაში: ავტორებისათვის პრემიის მინიჭების, სამეცნიერო ხარისხისა, სამეცნიერო და საპატიო წოდებათა შესახებ. აგრეთვე ტექსტის ენის, ამ ნაწარმოების სხვა ნაწარმოებთან კავშირისა, წიგნის შინაარსისა და თანდართულ ბიბლიოგრაფიის შესახებ.

§ 32. ანოტაციები. ა) აღწერილობას თან დაერთვის ანოტაცია იმისათვის, რომ მკითხველს მიეცეს უფრო გარკვეული წარმოდგენა წიგნის შინაარსისა, მისი იდეურ-პოლიტიკური მიმართულებისა და სამეცნიერო ან მხატვრულ ღირებულების შესახებ, ან როგორი მკითხველისათვის არის ის განკუთვნილი, აგრეთვე წიგნის არსებითი თავისებურებისა და ავტორის შესახებ.

ბ) ანოტაციის შედგენის დროს გამოყენებულ უნდა იქნას ამ საგნის კლასიკური დახასიათებანი: მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა აზრი, მშობლიური მეცნიერების კლასიკოსთა აზრი და სხვა, წიგნის ტექსტში მოცემული ფორმულიარები, წიგნის საცნობარო და სამეცნიერო აპარატი, აგრეთვე ავტორიტეტული წყაროები (მაგალ. სტატიები ცენტრალურ გაზეთებიდან; ჟურნალებიდან: უახლესი ცნობები ენციკლოპედიებიდან, ბიბლიოგრაფიული საძიებლებიდან და ა. შ.).

გ) ანოტაციის ფორმულირება უნდა იყოს პოლიტიკურად მახვილი, მკაფიო, მარტივი, ლიტერატურული და შეძლების და გვარად მოკლე.

დ) ანოტაცია თავსდება შენიშვნების შემდეგ და იწყება აბზაცით.

ანოტაცია — დართული აღწერილობის ნიმუში

ჭეიშვილი ა.

ლელო. თბ., სახელგამი, 1951. 435 გვ. ილ.

რომანი ეხება საქართველოს კოლმეურნე - გლეხობის ცხოვრებას ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში. ლელო — ხალხური ბურთის თამაშია. „ლელოს გატანა“ ქართულად ნიშნავს დასახული მიზნის მიღწევას' წარმატების მოპოვებას პირველობისათვის ბრძოლაში. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში ერთმანეთს ეჯიბრებიან სამღვთოს და მელექედურის კოლმეურნეობები. რომანის მთავარი გმირებია— ახალგაზ[illegible] სტახანოველები სოფ. სამღვთოს კოლმეურნეობიდან: თავდაბალი[illegible]მოყვარე კომკავშირელი ქიშვარდი და მისი შეყვარებული ქალიშვ[illegible]ციცინო. ავტორმა შექმნა კოლექტიური შრომის შთამაგონებელი [illegible]ი. ისეთი ადამიანების სახეები, რომელთათვისაც საკოლმეურნეო სა[illegible] საკუთარი, მშობლიური საქმეა. თავგამოდებით იცავენ რა კოლ[illegible]ეობის ინტერესებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი შეურიგებლად ებრძვიან იმ ზარმაცებსა და უქნარა ადამიანებს, რომლებიც წარსულის მავნე გადანაშთების ტყვეობაში არიან. რომანს მიენიჭა სტალინური პრემია. ბოლოში წიგნს დართული აქვს ალ. ჭეიშვილის ავტობიოგრაფია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ანოტაცია არის წიგნის მკითხველისათვის რეკომენდაციის საუკეთესო, ყველაზე მოქმედი მეთოდი. მაგრამ ანოტაციის შედგენა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და ლიტერატურულ ჩვევებს. ამიტომ ბიბლიოთეკებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ თავიანთ კატალოგებში ანოტირებული ნაბეჭდი ბარათები.

ე) როცა აღწერილობას დართული აქვს ანოტაცია, იცვლება ბიბლიოგრაფიული აღწერილობა: ცნობები, რომელნიც ავსებენ სათაურს, ახასიათებენ ავტორს, ხსნიან კრებულის, ან მრავალტომიანი გამოცემის ცალკე ტომის შინაარსს, გადაიტანებიან ანოტაციაში. ამრიგად აღწერილობა უნდა შედგეს ანოტაციასთან განუყოფელ კავშირში.

## ანოტაციებით აღწერილობის მაგალითები

**გულია გ.**

გაზაფხული საკენში. თარგმ. პ. ბახტაძემ. თბ., სახელგამი, 1950.

147 გვ.

ავტორი მოგვითხრობს ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ მთიან აფხაზეთის მიყრუებულ სოფელში — საკენში. საკენის მცხოვრებნი მონაწილეობას იღებენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა საქმიანობაში. მწერალმა გვიჩვენა თუ როგორ იზრდება და ფართოვდება პარტიის ხელმძღვანელობით ხალხის ინიციატივა. მთავარი გმირები კესოუ მირბა, სმელი, კამა და სხვა ერთგული შვილები არიან თავისი სოფლის და შრომობენ მისი კეთილდღეობისათვის. მათ მუშაობაში ხელს უშლიან გადაგვარებული ელემენტები; სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ზარმაცი ანტონი, უსაქმური რაშილი და სხვ. მოთხრობაში სასტიკად არიან გაკიცხული ეს პირები. მოთხრობას დიდი წარმატება აქვს საბჭოთა მკითხველში. მას მიენიჭა სტალინური პრემია.

**გონჩარი ო.**

მედროშენი. თარგმ. დ. კასრაძემ და ს. ფაშალიშვილმა. თბ., სახელგამი, 1952.

596 გვ.; 1 ფ. პორტრ.

წიგნი წარმოადგენს ტრილოგიას და შედგება სამი ნაწილისაგან: „ალპები[illegible] ცისფერი დუნაი“ და „ოქროს პრაღა“. წიგნი მოგვითხრობს საბჭოთა [illegible] მებრძოლებზე, რომელთაც ფაშიზმისაგან გაანთავისუფლეს ევროპის [illegible]რული ხალხები. წიგნის გმირები — მინსკელი სტუდენტი, ასეულის [illegible] იური ბრიანსკი, ახალგაზრდა ლეიტენანტი ევგენი ჩერნიში, უკრა[illegible]ი კოლმეურნე ხომა ხაეცკი, სამხედრო ფერშალი შურა

3

იასნოგორსკი და სხვები მონაწილეობენ ტრანსილვანიის ალპებზე, [illegible] ლაში, იბრძვიან ბუდაპეშტისა და პრაღის განთავისუფლებისათვის; ავტორმა თავის ნაწარმოებში გადაგვიშალა თავისი გმირების მდიდარი სულიერი სამყარო, გვიჩვენა მათი მეგობრობა ბრძოლაში, პატრიოტიზმის და ინტერნაციონალიზმის მაღალი გრძნობა. ღრმა იდეურობასა და პატრიოტიზმშია ამ ადამიანების ძალა, რომელიც აღზარდა მათში კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა წყობილებამ. ნაწარმოები შეფასებულია მეორე ხარისხის სტალინური პრემიით.

### იგივე აღწერილობების ნიმუშები უანოტაციოდ

გულია გ.
გაზაფხული საკენში. [მოთხრობა აფხაზეთის სოფელ საკენის ცხოვრებიდან]. თარგმ. პ. ბახტურიძემ. თბ., სახელგამი, 1950.
147 გვ.

---

გონჩარი ო.
მედროშენი. [ტრილოგია]. თარგმ. დ. კასრაძემ და ს. ფაშალიშვილმა. თბ., სახელგამი, 1952.
596 გვ.; 1 ფ. პორტრ.
შინაარსი: ალპები.—ცისფერი დუნაი. — ოქროს პრაღა.

## გ) დამხმარე აღწერილობანი და დამხმარე ბარათები ანბანურ კატალოგში

§ **33. ზოგადი წესები.** ა) დამხმარე აღწერილობანი და დამხმარე ბარათები ჩაერთვიან ანბანურ კატალოგში უმთავრესად იმისათვის, რომ დაგვეხმარონ წიგნის მოძებნაში, რომელიც მკითხველმა შეიძლება მოითხოვოს იმ ავტორის გვარით, ან და ისეთი სათაურით, რომელიც არ შეესაბამება ძირითადი აღწერილობის პირველ სიტყვებს.

ბ) დამხმარე აღწერილობებს მიეკუთვნება: 1) დამატებითი აღწერილობანი; 2) სერიული აღწერილობანი[1] და 3) ანალიტიკური აღწერილობანი[2].

---

[1] სერიული აღწერილობანი იხ. § 83.

[2] ანალიტიკური აღწერილობანი იხ. § 113—124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დამხმარე ბარათებს მიეკუთვნებიან 1) მითითებითი ბარათები (მითითებანი); 2) საცნობარო ბარათები.

**§ 34 დამატებითი აღწერილობანი და მათი გამოყენება.** ა) დამატებითი აღწერილობანი კეთდება იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე წესების სათანადო პარაგრაფებში: თანაავტორებზე, რედაქტორებზე და სხვ.; სათაურზე, პირზე, დაწესებულებაზე ან ორგანიზაციაზე, ადგილზე, რომელთა აღწერას მიეძღვნება წიგნი.

ბ) ბიბლიოთეკის პროფილის, მისი მკითხველთა კონტიგენტის და მკითხველთა მოთხოვნილების ხასიათის შესაბამისად, დამატებითი აღწერილობის გამოყენება ბიბლიოთეკაში შეიძლება გაფართოებულ იქნას. დამატებითი აღწერილობა შეიძლება გაკეთდეს მთარგმნელებზე, ილუსტრატორებზე, შემდგენლებზე, კოლექტიურ ავტორზე სათაურით მოცემულ აღწერილობაში და სხვა.

**დამხმარე ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებში** დამატებითი აღწერილობა არ კეთდება, მაგრამ ფართოდ არის გამოყენებული აღწერილობის დუბლირება რამდენიმე განყოფილებისათვის.

ამას გარდა ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოების ეფექტიურად გამოყენების მიზნით, საჭიროა დამატებით შესდგეს მისთვის დამხმარე საძიებლები; ეს საძიებლები ორგანიზებული უნდა იქნან არა იმ ნიშნების მიხედვით, როგორითაც მასალა განლაგებულია ძირითად ტექსტში. მაგალითად, მასალის სისტემატური განლაგების დროს დაერთვის ანბანური ან თემატური საძიებლები; თემატურს — გეოგრაფიული და ა. შ.

საძიებლებში მოცემულია ცნობების მინიმუმი (ავტორის გვარი და ინიციალები, სათაური ან მხოლოდ ავტორის გვარი და ინიციალები) ბიბლიოგრაფიულ დამხმარე სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდისა და ნომრის მითითებით.

**§ 35. დამატებითი აღწერილობის სახეები და ფორმები.** განირჩევა ორი სახეობა დამატებითი აღწერილობისა: ა) სახელობითი და ბ) სათაურზე.

ა) სახელობითი დამატებითი აღწერილობა შეიცავს:

1) დამატებითი აღწერილობის თავსათაურს, რომელიც შესდგება გვარისა და ინიციალებისაგან, რასაც დაემატება შემოკლებული სიტყვები: „რედ“ (=რედაქტორი) „მთ.“ (=მთარგმნელი)

„ილ.“ (ილუსტრატორი), „მასზე“ [1]. დამხმარე აღწერილობის თავსათაური ყოველთვის იწყება მეორე ვერტიკალური ხაზიდან.

2. ძირითადი აღწერილობის მოკლე განმეორებას: აღწერილობის თავსათაური, სათაური, მითითება გამოცემის განმეორებაზე (განმარტებითი სიტყვების: გასწორებულია, შევსებულია და სხვ. გარეშე), გამოცემის ადგილი და წელი. ცალკე შემთხვევებში, როდესაც წიგნის სათაური საკმაოდ ინდივიდუალური არ არის, მიღებულია დატოვებულ იქნას ისეთი ქვესათაურული ცნობები, როგორიცაა: კრებული, ქრესტომათია, ბიბლიოგრ. საძიებელი, სახელმძღვანელო საშ. სკოლის მე-8 კლასისათვის და ა. შ.

### პირზე დამატებითი აღწერილობის სქემა

დამატებითი აღწერილობის თავსათაური
ძირითადი აღწერილობის თავსათაური.
სათაური. ქვესათაური (გამოცემის გამეორება).
ბეჭდილობის ცნობები (გამოცემის ადგილი და წელი).

### ძირითადი აღწერილობის ნიმუში

გვრიტიშვილი დ.
ივანე ჯავახიშვილი. მონოგრაფია.
თბ., სახლიტგამი, 1949.
148 გვ.; 4 ფ ი. ილ.

### ავტორიან ძირითადი აღწერილობისათვის დამატებით შედგენილი სახელობითი აღწერილობის ნიმუში

ჯავახიშვილი ი., მასზე.
გვრიტიშვილი დ.
ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1949.

---

[1] სიტყვა „თანაავტორი“ აღწერილობის თავსათაურში არ იწერება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ძირითადი აღწერილობის ნიმუში

მიჩურინული ბიოლოგიის საფუძვლები. დ. ვ. ვინოგრადოვის რედ.. თბ., სამეცნიერო მეთოდკაბინეტი, 1951.
384 გვ. ილ. (საქ. სსრ. განათლების სამინისტრო).
სათაურის წინ. ავტ.: ტ. ვ. ვინოგრადოვი, მ. პ. ვინოგრადოვი, ს. ი. გალპერინი [და სხვ.].
ბიბლიოგრ.: გვ. 378 — 380.

### სათაურზე შედგენილი ძირითადი აღწერილობისათვის დამატებითი სახელობითი აღწერილობის ნიმუში

ვინოგრადოვა ტ. ვ. და სხვ.
მიჩურინული ბიოლოგიის საფუძვლები. თბ., 1951.

ამავე ფორმით კეთდება აღწერილობა დაწესებულებაზე ან ორგანიზაციაზე და ადგილზე.

ბ) დამატებით აღწერილობა სათაურზე შეიცავს:

1) ნაწარმოების სათაურს, მითითებას გამოცემის გამეორებაზე, გამოცემის ადგილსა და წელს. სათაური იწყება მეორე ვერტიკალურიდან და გრძელდება შემდეგ სტრიქონებზე $1/2$ სმ მარჯვნივ.

2) ძირითადი აღწერილობის თავსათაურს, რომელიც იწყება პირველი ვერტიკალური ხაზიდან.

### სათაურზე დამატებითი აღწერილობის სქემა

სათაური. ქვესათაურული ცნობები.
(გამოცემის გამეორება). ბეჭდილობის ცნობები (ადგილი და წელი გამოცემისა).
ძირითადი აღწერილობის თავსათაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ძირითადი აღწერილობის ნიმუში

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო.
დადგენილება პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმისა. ოქმი № 81. 1949 წლის 14 იანვარი. 1949 წლის კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ. თბ., 1949.
12 გვ.

### სათაურზე დამატებითი აღწერილობის ნიმუში

დადგენილება პროფესიულ კავშირთა სრულიად სიკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა. ოქმი № 81. 1949 წლის 14 იანვარი. 1949 წლის კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ. თბ., 1949.
საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო.

გ) წიგნის გარეკანზე მოთავსებულ სათაურზე დამატებითი აღწერილობის შედგენის დროს ეს სათაური ბარათზე მოიყვანება მეორე ვერტიკალურიდან და თუ პირველ სტრიქონზე ვერ მოთავსდება — გაგრძელდება შემდეგ სტრიქონებზე $1/2$ სმ მარჯვნივ, მის შემდეგ მრგვალ ბრჩხილებში ჩაისმება სიტყვები: სათაური კანზე. ქვევით თავსდება მოკლე გამეორება ძირითადი აღწერილობისა.

### ძირითადი აღწერილობის ნიმუშები

ბოროზდინი კ.
სამეგრელო და სვანეთი. 1854—1861. თარგმ. თ. სახოკიას მიერ თბ., სახელგამი, 1934.
352 გვ. ილ.
კანზე სათაური: სამეგრელო.

ზეინკალი — მეიარაღის სამუშაო ადგილი სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში. თბ., „ტექნიკა და შრომა", 1948.
60 გვ. ილ.
კანზე სათაური: ზეინკლის სამუშაო ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო. (სათაური კანზე)
ბოროზდინი კ.
სამეგრელო და სვანეთი. თბ,. 1934.

ზეინკლის სამუშაო ადგილი (სათაური კანზე).
ზეინკალი — მეიარაღის სამუშაო ადგილი სახელოსნო
და რკინიგზის სასწავლებლებში. თბ., 1948.

(მრავალტომიან გამოცემების შეცვლილ სათაურების დამატებითი აღწერილობის შესახებ იხ. § 80).

**§ 36. მითითებითი ბარათები („მითითებანი") და მათი გამოყენება.** ა) მითითებები ორგვარია: საერთო და კერძო.

საერთო მითითება კეთდება წიგნში მოცემული ავტორის, რედაქტორის და მთარგმნელის გვარიდან, ან და დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დასახელების სხვადასხვა ფორმიდან იმ გვარებისაკენ ან დასახელებისაკენ, რომელიც მიღებულია აღწერილობის თავსათაურისათვის.

კერძო მითითებები გზავნიან აღწერილობის ერთ თავსათაურიდან მეორისაკენ, რომლის ქვეშაც აგრეთვე დაგროვილია მასალები კატალოგში.

ბ) მითითებითი ბარათები შეიცავენ შემდეგ ცნობებს:

1) სიტყვა (სიტყვები), რომლისაგანაც ხდება მითითება, ჩაიწერება მეორე ვერტიკალურ ხაზიდან და გრძელდება შემდეგ სტრიქონებზე $1/_2$ სმ მარჯვნივ პირველი სტრიქონის ჩანაწერიდან.

2) შემოკლებული სიტყვები „იხ." (იხილე), „см." (= смотри) საერთო მითითებისათვის და „იხ. აგრ." (= იხილე აგრეთვე) „см. также" (смотри также) — კერძო მითითებებისათვის, — რომელიც თავსდება შემდეგი თავისუფალი სტრიქონის შუაში.

3) აღწერილობის თავსათაური, რომელზედაც მიეთითება მკითხველებს, იწყება პირველი ვერტიკალური ხაზიდან და გრძელდება შემდეგ სტრიქონებზე მეორე ვერტიკალური ხაზიდან $1/_2$ სმ მარჯვნივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საერთო მითითების ნიმუშები

> მაშაშვილი ალიო, ფსევდ.
> იხ.
> მირცხულავა ა.

> საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი.
> იხ.
> საქართველოს ა ლ კ კ.

### კერძო მითითების ნიმუშები

> საქართველოს სსრ. განათლების სამინისტრო.
> იხ. აგრ.
> საქართველოს სსრ. განათლების სახ. კომ.-ტი.

> საქართველოს სსრ. განათლების სახ. კომ-ტი.
> იხ. აგრ.
> საქართველოს სსრ. განათლების სამინისტრო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კატალოგში არ უნდა იქნას შეტანილი ისეთი ზოგადი მითითებანი, რომელნიც ძირითადი აღწერილობის გვერდით თასვდებიან.

**§ 37. საცნობარო ბარათები და მათი გამოყენება.** საცნობარო ბარათები კეთდება:

ა) დაწესებულებათა და ორგანიზაციების ოფიციალური მასალების ტიპიურ სათაურზე, რომელნიც აღიწერებიან კოლექტიურ ავტორზე (მაგალ. რეზოლუცია, ანგარიშგება, ოქმები და ა. შ.).

### საცნობარო ბარათის ნიმუში ტიპიურ სათაურზე

> რეზოლუციები.
> დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რეზოლუციები იხ. კატალოგში, სათანადო დაწესებულების ან ორგანიზაციის დასახელებით. მაგალითად ს კ პ (ბ) კონფერენცია. მე-18. რეზოლუციები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მხატვრულ ნაწარმოებთა სათაურზე, გარდა ქართულ რუსულ და მსოფლიო ლიტერატურაში საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებთა.

საცნობარო ბარათის ნიმუში მხატვრულ ლიტერატურის ნაწარმოების სათაურზე

თავადის ქალი მაია.
ავტ.:
ქიაჩელი ლ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საცნობარო ბარათის შედგენა მხატვრული ნაწარმოების სათაურზე სავალდებულო არ არის.

## დ) საბიბლიოთეკო აღნიშვნები საკატალოგო ბარათებზე

§ 38. **შიფრი.** წიგნის შიფრი (ინდექსი და საავტორო ნიშანი) აღინიშნება ანბანური და სისტემატური კატალოგების ყველა ბარათებზე, გარდა მითითებითი და საცნობარო ბარათებისა. შიფრი იწერება ბარათის წინა გვერდზე, მარცხენა ზედა კუთხეში, ამასთან ინდექსი იწერება პირველ, ხოლო საავტორო ნიშანი მეორე ჰორიზონტალურ სტრიქონზე. ასეთი განლაგება რჩება მეორე და სხვა მომდევნო ბარათებზე (თუ ძირითადი აღწერილობა არ თავდება პირველ ბარათზე) და დამხმარე ბარათებზე.

02 793

ქ 86 გ 85

სერიულ აღწერილობაში ცალკე ნაკვეთების შიფრი დაისმის პირველი ვერტიკალიდან მარცხნივ იმ სტრიქონზე, რომლითაც იწყება სათანადო ნაკვეთის სპეციფიკაცია.

§ 39. **საინვენტარო ნომერი.** წიგნის საინვენტარო ნომერი (ნომრები) დაიწერება სასამსახურო ანბანური კატალოგის ძირითადი ბარათის მეორე გვერდის მარცხენა ქვედა კუთხეში. ბარათი, რომელიც გადაბრუნებულია ღეროსათვის განკუთვნილ ხვრეტით ზევით, მოიყვანება მხოლოდ რიცხობრივი აღნიშვნა, მის წინამორბედ მითითებათა—„№“ „ინვ. №“—გამოკლებით, თუ საინვენტარო ნომრები რამდენიმეა, ისინი ჩაიწერებიან ქვემოდან ზევით ბარათის მარცხენა გვერდის პარალელურად სვეტის სახით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8554
7428
6581

მრავალტომიან გამოცემათა აღწერის დროს, თვითეულ საინვენტარო ნომრის წინ დაიწერება ის ტომი, რომელსაც ეხება ეს ნომერი.

ტ. 2—3643
ტ. 1—3259

თუ აიწერება ისეთი წიგნი, რომლის ეგზემპლარები სხვადასხვა ფონდშია, თვითეული საინვენტარო ნომრის შემდეგ უჩვენებენ ფონდის შემოკლებულ დასახელებას.

4826 სამკ. დარბ. (ч. з.)
2877 აბ. (а б.)

§ 40. **ცნობა დამხმარე აღწერილობათა შესახებ.** ცნობა დამხმარე აღწერილობების შესახებ მოთავსდება ანბანური კატალოგის ძირითადი ბარათის უკანა გვერდზე ღეროსათვის განკუთვნილ ხვრეტის ქვეშ სვეტის სახით. ცნობები მიიცემა შემოკლებული ფორმით:

თანაავტ. (соавт.) (= დამატებითი აღწერილობა თანაავტორზე)

2 თანაავტ. (2 соавт.) (=დამატებითი აღწერილობა ორ თანაავტორზე)

შემდგ. (сост) (=დამატებითი აღწერილობა შემდგენელზე)

რედ. (ред.) (=დამატებითი აღწერილობა რედაქტორზე)

მთარგმნ. (пер.) (=დამატებითი აღწერილობა მთარგმნელზე)

სათ. (загл.) (=დამატებითი აღწერილობა სათაურზე)

სათ. კანზე. (загл. на обл.) (= დამატებითი აღწერილობა სათაურზე, რომელიც კანზეა მოყვანილი)

სერ. (сер.) (=სერიული აღწერილობა)

ან. (ан.) (=ანალიტიკური აღწერილობა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დამხმარე აღწერილობის მითითება მოკლე აღნიშვნის სახით არ იძლევა ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ რა თავსათაურით არის წარმოდგენილი დამატებითი აღწერილობა, შემოკლებული სიტყვების „თანაავტ." „რედ." და სხვ. მაგიერ მოიყვანება იმ პირების გვარი, რომელზედაც არის შედგენილი დამატებითი აღწერილობა. კერძოდ, ცნობებში ყოველთვის მოიყვანება გვარი და ინიციალები იმ პირისა, ვის შესახებაც წიგნი მოგვითხრობს („პერსონალია"), გვარი და ინციალები პირველი ავტორისა, თუ წიგნს სამზე მეტი ავტორი ჰყავს, დაწესებულების ან ორგანიზაციის და ადგილის დასახელება. დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დასახელებაში დასაშვებია ცალკე სიტყვების შემოკლება. მაგალითად: საქ. სახ. მუზეუმი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ კრებულებში, რომელსაც აქვთ საერთო სათაური, მოთავსებული წერილების აღწერილობისას ცნობაში სიტყვის „ან"-ის შემდეგ, უჩვენებენ ავტორის გვარებსა და მათ ნაწარმოებების სათაურების პირველ სიტყვებს.

§ 41. **სისტემატური კატალოგის ინდექსები.** ინდექსებს, რომლითაც წიგნი ასახულია სისტემატურ კატალოგში, უჩვენებენ შემდეგნაირად:

ა) სისტემატურ კატალოგის ძირითად ბარათზე, მარჯვენა ქვედა კუთხეში მოყავთ მთლიანი ინდექსი. გარდა ამისა თვითეულ ბარათზე (ძირითადსა და დამხმარეზე) მარცხენა ქვედა კუთხეში იწერება საკატალოგო ინდექსი, რომელიც განსაზღვრავს ბარათის ადგილს კატალოგში (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის იმეორებს მთლიან ინდექსს).

სისტემატურ კატალოგის ძირითად ბარათზე საბიბლიოთეკო აღნიშვნების განლაგება

| | |
|---|---|
| 57*<br>ჩ-84 | **ჩუბინიძე შ.**<br>**ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიჩურინი. თბ., სახელგამი, 1949.**<br>**32 გვ. ილ. (მეცნ.-პოპულ. ბ-კა).** |
| 57(09ს)** | **57(09ს)+5(09ს)+63(09ს)** *** |

* შიფრი.
** საკატალოგო ინდექსი.
*** სრული ინდექსი.

ეროვნული

### სისტემატურ კატალოგის დამატებითი ბარათზე საბიბლიოთეკო აღნიშვნების განლაგება

| | |
|---|---|
| 57 *<br>ჩ—84 | ჩუბინიძე შ.<br>ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიჩურინი. თბ., სახელგამი, 1949,<br>32 გვ. ილ. (მეცნ.-პოპულ. ბ-კა). |
| 57(09ს) ** | |

* შიფრი.

** საკატალოგო ინდექსი.

ბ) ანბანურ კატალოგში სისტემატური კატალოგის ინდექსები მოჰყავთ ძირითადი აღწერილობის უკანა გვერდზე, მარჯვენა ქვედა კუთხეში.

### საბიბლიოთეკო აღნიშვნების განლაგება ანბანური კატალოგის ძირითადი ბარათის უკანა გვერდზე

| | |
|---|---|
| | მიჩურინი ი. ვ., მასზე. |
| 4217<br>3152<br>2874 | 57(09ს)+5(09ს)+63(09ს) |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დაბეჭდილ ბარათებზე მთლიანი ინდექსი რჩება მხოლოდ პირველ გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი 2

# ავტორიანი და უავტორო წიგნების აღწერა

§ 42. **ავტორიანი წიგნების აღწერა.** ა) იმ შემთხვევებში, როდესაც ავტორი წიგნში ნაჩვენებია, წიგნი აიწერება ავტორის გვარით.

ავტორიანი წიგნის აღწერილობის ნიმუში

სტალინი ი.
სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში [ეკონომიკური დისკუსიების მონაწილეებს]. თბ., სახელგამი, 1952.
10 გვ.
შინაარსი: შენიშვნები 1951 წლის ნოემბრის დისკუსიასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საკითხებზე: — პასუხი ამხ. ნოტკინს, ალექსანდრე ილიას-ძეს. — ამხ. ლ. დ. იაროშენკოს შეცდომების შესახებ. — პასუხი ამხანაგებს ა. ვ. სანინას და ვ. გ. ვენჟერს.

ლეონიძე გ.
ფორთოხალთა ბერშოულა. [პოემები]. თბ., სახელგამი, 1952.
52 გვ.; 2 ფ. ილ.
მიენიჭა სტალინური პრემია.

ბ) თუ ავტორის გვარი არ არის ნაჩვენები არც თავფურცელზე და არც კანზე, არამედ ნაჩვენებია თავფურცლის მე-2 გვერდზე, წინასიტყვაობაში, ან და წიგნის სხვა რომელსამე ნაწილში, ამ შემთხვევაში წიგნს უკეთდება შენიშვნა შემდეგი ფორმით: ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაჩვენებია თავფურცლის მე-2 გვერდზე, ავტორი ნაჩვენებია ტექსტის მე-17 გვ. და სხვ. სათაურზე დგება დამატებითი აღწერილობა.

### წიგნის აღწერილობის ნიმუში, რომლის ავტორი თავფურცლის მეორე გვერდზეა ნაჩვენები

ორჯონიკიძე ი.
მასობრივი ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმი. თბ., სახელგამი, 1952.
64 გვ. ნახაზ.
ავტორი ნაჩვენებია თავფ. მე-2 გვ.

### სათაურზე დამატებითი აღწერილობის ნიმუში

მასობრივი ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმი. თბ., 1952.
ორჯონიკიძე ი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორის გვარი ნაჩვენებია თავფურცელზე, კანზე კი არა, კეთდება შენიშვნა: კანზე ავტორი ნაჩვენები არ არის. სათაურზე დგება აგრეთვე დამატებითი აღწერილობა.

### წიგნის აღწერილობის ნიმუში, რომლის ავტორი კანზე ნაჩვენები არ არის

ბარამიძე გ. და სიხარულიძე ი.
მშობლიური ლიტერატურა. VI კლასის სახელმძღვანელო. თბ., სახელგამი, 1953.
443 გვ. ილ.
კანზე ავტ. ნაჩვენები არ არიან.

### დამატებითი აღწერილობის ნიმუში სათაურზე

მშობლიური ლიტერატურა. VI კლასის სახელმძღვანელო. თბ., 1953.
ბარამიძე გ. და სიხარულიძე ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხმარე ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებში შენიშვნა ავტორზე არ კეთდება.

გ) თუ ავტორის გვარი მოცემულია თავსათაურში, აღწერილობაში, როგორც წესი, ის არ მეორდება.

| წიგნში: | აღწერილობაში: |
|---|---|
| თხზულებათა კრებული<br>ალ. ჭავჭავაძისა. | ჭავჭავაძე ა.<br>თხზულებათა კრებული. |
| პირველი ნაბიჯი, რომანი<br>გ. წერეთლისა. | წერეთელი გ.<br>პირველი ნაბიჯი |

ავტორის გვარი მეორდება:

1. იმ შემთხვევაში, თუ წიგნის ავტორებად არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, და მათი გვარები შეტანილია წიგნის სათაურში.

სტალინი ი. ბ.
ამხ. სტალინის სიტყვა, წარმოთქმული წითელ არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე კრემლის სასახლეში 1935 წ. 4 მაისს, თბ., პარტგამ-ბა, 1935.
12 გვ.

2. როდესაც წიგნში მოყვანილი გვარი არსებითად განსხვავდება აღწერილობის თავსათაურში მოყვანილ გვარისაგან.

ეული-ქურიძე ს.
რჩეული. ერთტომეული. თბ., „ფედერაცია“, 1941.
204 გვ.
სათაურის წინ ავტორი: სანდრო ეული.

დამხმარე ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებში შენიშვნა ავტორის გვარის კითხვა-სხვაობის შესახებ არ კეთდება.

დ) თუ წიგნში ავტორის გვარს წინ უძღვის სიტყვები: „შეადგინა“ (составил) „შეკრიბა“ („собрал“) და ა. შ. წიგნი შეიძლება აღწერილ იქნას შემდგენლის გვარზე ან და სათაურზე, იმისდამიხედვით, თუ რა ხასიათისაა გამოცემა.

სამეცნიერო ნაშრომები, ქრესტომათიები, ლექსიკონები, ცნობარები, ბიბლიოგრაფიული საძიებლები, სახელმძღვანელოები, დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები აიწერება შემდგენელზე.

კუპრაძე მ.
ა. ს. პუშკინი ქართულ ენაზე. (ბიბლიოგრაფია). თბ., 1949.
73 გვ. (კ. მარქსის სახელობის საქ. სახ. საჯარო ბ-კა. სერია ბიბლიოგრაფიისა).
შემდგენელი ნაჩვენებია თავფურც. მე-2 გვ.

(სათაურზე უკეთდება დამატებითი აღწერილობა)

თავფურცლის ნიმუში

ТРУДЫ

Арктитического научно-исследовательского института Главного управления Северного морского пути при Совете Министров СССР

Том 202

МОРСКИЕ МЛЕКОПИТАЮЩИЕ АРКТИКИ

Составил
М. П. Виноградов
под редакцией
Проф. Е. К. Суворова

ИЗДАТЕЛЬСТВО ГЛАВСЕВМОРПУТИ
Ленинград 1949 Москва

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Виноградов М. П.
Морские млекопитающие Арктики. Под ред. проф. Е. К. Суворова. Л.—М., Главсевморпуть, 1949
280 стр. с илл., карт. (Труды, Арктического науч.-исслед. ин-та Глав. упр. Сев. морского пути при Совете Министров СССР. Т. 202).
Библиогр. в конце частей.

სხვადასხვა ავტორების მიერ შედგენილი სტატიების კრებულები და ოფიციალური დოკუმენტების კრებულები აიწერება სათაურზე. შემდგენელის გვარი მოყვანილ უნდა იქნას ან ქვესათაურულ ცნობებში (თუ ის ნაჩვენებია თავფურცელზე ან კანზე) ანდა შენიშვნაში.

---

ხალხური ლექსები და ზღაპრები. შეკრებილი გიორგი ნათაძის მიერ ს. ხუციშვილის. რედ. თბ., „საბჭოთა მწერალი", 1950.
VIII, 203 გვ.

---

საბჭოთა ხალხის პარტიზანული ბრძოლა დიდ სამამულო ომში. მასალათა კრებული. შემდგ. კ. გ. გრიგოლია. თბ., 1942.
10 გვ. (განათლების სახალხო კომ-ტის დაწყ. და საშ. სკოლის სამეცნ.-საკვლ. ინსტ-ტი)

---

ქართველი პოეტები ქუთაისს. [კრებული] ქუთაისი, 1947.
XI, 128 გვ.
თავფ. მე-2 გვერდზე შემდგენელი: გ. სამხარაძე, მ. ალავიძე.

---

Металлургия и металловедение. Под ред. лауреата Сталинской премии доц. К. И. Гостева. М., Оборонгиз. 1951.
26 стр. с илл. (Материалы по обмену производ-технич. опытом).
На обороте тит. л. сост.: Б. И. Малкин.

Техника безопасности на железнодорожном транспорте. Сборник постановлений, правил, инструкций и приказов. М., Транжелдориздат, 1951.
768 стр. с черт.
На обороте тит. л. сост.: А. П. Богданский.

ინსტრუქციები, სამახსოვროები, პროგრამები და სხვა ამის მაგვარი მასალები აიწერება შემდგენელის გვარზე იმ შემთხვევაში, თუ ის მოყვანილია თავფურცელზე ან კანზე, და სათაურზე,— ყველა დანარჩენ შემთხვევაში სათაურზე აღწერისას შემდგენელი ნაჩვენები უნდა იყოს შენიშვნაში.

ინსტრუქცია სოფლის კოოპერატივების და სოფლის მაღაზიების სავაჭრო ბრუნვის დაკრედიტების შესახებ. თბ., 1942.
28 გვ. (საქ. სამომხმ. კოოპერ. ორგანიზაციების ცენტრ. კავშირი. ცეკავშირი)
ტექსტის ბოლოს შემდგენელი: ა. საფრონოვი.

ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამა (პედ. ინ-ტის ისტორიის ფაკულტეტებისათვის) თბ., საქ. სსრ განსახკომის მეთოდკაბინეტი, 1944.
17 გვ. (საქ. განათლ. სახ. კომ-ის უმაღლესი სკოლის სამმართველო).
თავფ. მე-2 გვ. შემდგენელი: ს. ხუციშვილი.

Дубровский К. К.
Инструкция для наблюдений покрытий звезд луною. М., Акад. наук СССР, 1951.
9 стр. (Всесоюзн. астроном.—геодез. о-во при Акад. наук СССР)

Юдин Я. М.
Памятка машиниста паровых турбин небольшой мощности. М.—Л., Госэнергоиздат, 1951.
191 стр. с илл.
Перед загл. авт.: инж. Я. М. Юдин

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Указания по применению кладки стен из шлакобетонных пустотелых блоков с облицовкой пятистенным кирпичом полусухого прессования. Киев, 1951.
32 стр. с черт.; 1 л. илл. (М-во жил.-гражданского стройтельства Укр. ССЦ. техн. упр.)
На 6-й стр. сост.: инж. Струтянский А. Б.

Нормативы времени на разметочные, слесарные и сборочные работы. Харьков-Москва, Металлургиздат, 1951.
275 стр. с илл. (М-во черной металлургии СССР. Науч.-исслед. бюро организации производства черной металлургии „Оргчермет").
На обороте тит. л. сост.: Г. И. Шандренко и М. А. Муртищев.
Библиогр.: стр. 275.

**ბიბლიოგრაფიულ დამხმარე სახელმძღვანელოებში** შემდგენელის გვარი მოიყვანება მხოლოდ სათაურზე აღწერის დროს, და არა შენიშვნებში, არამედ ქვესათაურში.

ე) რედაქტორები და გამომცემლები არ ითვლებიან გამოქვეყნებული მასალის ავტორებად.

§ 43. **აღწერილობის თავსათაურების ერთგვარობა.** ა) ავტორის გვარი ყველა იმ ნაწარმოებისათვის, რომელიც კატალოგშია ასახული, აღწერილობის თავსათაურში მოცემული უნდა იქნას ერთგვარად—სახელობით ბრუნვაში. გვარის შემდეგ დაიწერება სახელისა და მამის სახელის ინიციალები. იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნში ნაჩვენებია სახელი და მამის სახელი ან სახელები, ისინი მოცემულ უნდა იქნენ აგრეთვე ინიციალების სახით.

**ბიბლიოგრაფიულ საძიებლებისა და სიებისათვის** მეორე ინიციალის დამატება, თუ წიგნში მხოლოდ ერთი ინიციალია ნაჩვენები, არ არის სავალდებულო. მაგრამ აღწერილობის თავსათაურის ფორმულირების დროს არ არის დასაშვები სხვაობა ერთი ბიბლიოგრაფიული საძიებლისა ან სიის ფარგლებში.

ბ) ცალკე იშვიათ შემთხვევებში, როცა ავტორი ცნობილია საკუთარი სახელით, ან შერქმეული სახელით—მეტსახელით, აღწერილობის თავსათაურისათვის გამოიყენება საკუთარი სახელი ან შერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმეული სახელი. გვარისაგან, თუ ის შეგვხვდა წიგნში — კეთდება მითითება.

ვაჟა-ფშაველა
(მითითება: რაზიკაშვილი ლ-დან)
უიარაღო
(მითითება: თათარიშვილი კ. დან)

§ 44. **ორმაგი გვარები.** ავტორების ორმაგი გვარები გადააქვთ აღწერილობის თავსათაურში მათი შემადგენელი ნაწილების თანამიმდევრობის დაცვით:

| წ ი გ ნ შ ი: | ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა შ ი: |
|---|---|
| ა. ჯამბაკურ-ორბელიანი | ჯამბაკურ-ორბელიანი ა. |
| ვ. ალექსი-მესხიშვილი | ალექსი-მესხიშვილი ვ. |
| ნ. კვეზერელი-კოპაძე | კვეზერელი-კოპაძე ნ. |

თუ ავტორი ცნობილია სახელით და გვარის მაგიერ სახელს მიწერილი აქვს ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა, (იოსებ თბილელი) ან წოდებისა და ხარისხის აღნიშვნა (იოანე ბატონიშვილი) მაშინ წიგნის აღწერა ავტორის სახელზე კეთდება.

იოსებ თბილელი.
დიდმოურავიანი. გ. ლეონიძის რედ. თბ., სახელგამი, 1939.
111 გვ. პორტრ.

იოანე ბატონიშვილი.
კალმასობა. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ. თბ., სახელგამი, 1948.
254 გვ.

§ 45. **ავტორის გვარის სხვადასხვაგვარი დამწერლობა.** თუ ავტორის გვარი მის ნაწარმოებთა სხვადასხვა გამოცემებში მოცემულია სხვადასხვაგვარად (მაგ. ფსევდონიმი და ნამდვილი გვარი, სხვადასხვა დამწერლობა რუს და უცხოელი გვარებისა), აღწერილობის თავსათაურისათვის იღებენ ერთგვარ ფორმას, ისეთს, რომელიც ყველაზე უფრო ცნობილია ლიტერატურაში. თუ საკითხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საექვოა—მაშინ აიწერება გვარზე, რომელზედაც გამოსულია მის ნაწარმოებთა უმრავლესობა. იმ შემთხვევაში, თუ წიგნში მოცემული გვარი განსხვავდება იმ გვარისაგან, რომელიც მიღებულია აღწერილობის თავსათაურად, კეთდება მითითება.

| წიგნში: | აღწერილობაში: |
|---|---|
| გეტე<br>გიოტე<br>გოეთე | გოეთე |
| Д. Голсуорси<br>Д. Гелсуорси<br>Д. Голсворси<br>Д. Гальсворти | Голсуорси Д. |

მითითების ნიმუში

გეტე· იხ
გოეთე·

§ 46. **თავსართიანი გვარები.** გვარებს, რომელთაც აქვთ თავსართები (თანდებული, წევრები და ამ. მაგ.) აღწერილობაში უჩვენებენ იმ ფორმით, რომლითაც ავტორი უფრო ცნობილია. როგორც წესი თავსართები დე, ფონ, ვან, ფონ დერ, ვან დერ,—აღწერილობის თავსათაურში არ უნდა იქნენ ნაჩვენები.

| წიგნში: | აღწერილობაში: |
|---|---|
| გიუ-დე-მოპასანი | მოპასანი გ. |
| ონორე დე ბალზაკი | ბალზაკი ო. |

დაცულ უნდა იქნეს თავსართები: ტერ. მაკ, ო', ლე, დიუ, ლა (Ля).

| წიგნში; | აღწერილობაში: |
|---|---|
| ტერ-გევონდიანი | ტერ-გევონდიანი ა. გ. |
| К. Мак-Вильямс | Мак-Вильямс К. |
| Анри Ле Шателье | Ле Шателье А. |
| А. Н. О‘Рурк | О‘Рурк А. Н. |

§ 47. **ჩინელი და კორეელი ავტორები.** ა) ჩინური სახელები, რომლებიც სამი ნაწილისაგან შესდგება, პირველი და მეორე ნაწილი იწერება ასომთავრულით, (რუსულ კატალოგისათვის), მესამე ნაწილი

ეროვნული

კი უერთდება დეფიზით და იწერება ჩვეულებრივ პატარა ასოთი. თუ სახელი ჩვეულებრივ ორი ნაწილისაგან შესდგება—ორივე სახელი ასომთავრულით იწერება.

| | |
|---|---|
| მაო ძე-დუნი | Мао Цзе-дун |
| ჩჟოუ ენ-ლაი | Чжоу Энь-лай |
| გო მო-ჟო | Го Мо-жо |
| ჩჟუ-დე | Чжу-де |

ბ) კორეელების გვარები და სახელები ყველა ნაწილში იწერება ასომთავრულით—უდეფიზოთ

| | |
|---|---|
| კიმ ირ სენი | Ким Ир Сен. |
| პაკ დენ აი | Пак Ден А'и. |
| პაკ ხენ ენ | Пак Хен Ен. |

§ 48. **ორი და სამი ავტორის წიგნი.** ორი და სამი ავტორის წიგნის აღწერილობის დროს თავსათაურში გამოიტანება ყველა ავტორის გვარები. უკანასკნელი გვარის წინ დაისმის კავშირი „და“. მეორე და მესამე ავტორზე (თანაავტორებზე) დგება დამატებითი აღწერილობანი.

ორი ავტორის მიერ დაწერილი წიგნის აღწერილობის ნიმუში

**კამალოვი ნ. და გორდაძე გ.**
**ადამიანის ჰელმინთოზების მკურნალობა. სახელმძღვანელო ექიმთათვის. გამოც. მე-2, შესწ. თბ., საქმედგამი, 1952.**
**48 გვ.**
**სათაურის წინ ავტ.: პროფ. ნ. კამალოვი და დოც. გ. გორდაძე.**

მეორე ავტორზე დამატებითი აღწერილობის ნიმუში

**გორდაძე გ.**
**კამალოვი ნ. და გორდაძე გ.**
**ადამიანის ჰელმინთოზების მკურნალობა, თბ., 1952.**

## სამი ავტორის მიერ დაწერილ წიგნის აღწერილობის ნიმუში

ვაჩნაძე დ. ვ., მომცემლიძე მ. ა. და შიშინაშვილი დ. ნ.
საშენი მასალის გამოცდა. თბ., „ტექნიკა და შრომა", 1952.
296 გვ. ნახ.; 1 ფ. ნახ.
ბიბლიოგრაფ: გვ. 292—293.

## მეორე ავტორზე დამატებითი აღწერილობის ნიმუში

მომცემლიძე მ. ა.
ვაჩნაძე დ. ვ., მომცემლიძე მ. ა. და შიშინაშვილი დ. ნ.
საშენი მასალის გამოცდა. თბ., 1952.

## მესამე ავტორზე დამატებითი აღწერილობის ნიმუში

შიშინაშვილი დ. ნ.
ვაჩნაძე დ. ვ., მომცემლიძე მ. ა. და შიშინაშვილი დ. ნ.
საშენი მასალის გამოცდა. თბ., 1952.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დამატებითი აღწერილობა თანაავტორებზე არ არის სავალდებულო.

**ბიბლიოგრაფიულ საძიებლებსა და სიებში ორი და სამი ავტორის** მიერ დაწერილი წიგნების აღწერილობის დროს უნდა დაცულ იქნას იგივე წესები, ე. ი. აღწერილობის თავსათაურში უჩვენებენ ორ ან სამ ავტორს. ავტორების გვარები უნდა აწყობილ იქნას შავი ასოებით (სიებში იბეჭდება ასომთავრული ასოებით).

## ორი და სამი ავტორის წიგნების აღწერილობის ნიმუში ბიბლიოგრაფიულ საძიებლებისათვის

**კამალოვი ნ. და გორდაძე გ.** ადამიანის ჰელმინთოზების მკურნალობა. სახელმძღვანელო ექიმთათვის. გამოც. 2-რე, შესწ. თბ., „საქმედგამი", 1952. 48 გვ.

**ვაჩნაძე დ. ვ., მომცემლიძე მ. ა. და შიშინაშვილი დ. ნ.** საშენი მასალის გამოცდა. თბ., „ტექნიკა და შრომა", 1952. 296 გვ. ნახ.; 1 ფ. ნახ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 49. **ოთხი და მეტ ავტორთა წიგნები.** ა) ოთხი ავტორის წიგნი აიწერება სათაურზე. თუ წიგნში ავტორები ნაჩვენებია სათაურის წინ, ოთხივე ავტორის გვარები მოიყვანება შენიშვნაში, მაგრამ თუ ავტორები ნაჩვენებია სათაურის შემდეგ, ისინი დაცული უნდა იქნან აღწერილობის ტექსტში იმ ფორმითა და თანამიმდევრობით, როგორც ეს მოცემულია წიგნში. ორივე შემთხვევაში კეთდება დამატებითი აღწერილობა პირველ ავტორზე და მის გვარს მიემატება სიტყვები „და სხვ." („и др.").

ᲝᲗᲮ-ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

**სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო წამოწყებათა ორგანიზაცია. თარგმ. რუსულიდან ნ. ქუჩუკაშვილისა. დოც. პ. ჟღენტის რედ. თბ., „ტექნიკა და შრომა", 1945.**

**294 გვ. სქემ. (სსსრ მიწსახკომი. საქ. სახ. ზოოტექნ.-სავეტერინარო ინ-ტი).**

**სათაურის წინ ავტ: ლ. მ. ზალცმანი, ბ. ე. ბაბიკი, მ. მ. ბროზგული, მ. ი. ვესნიკი.**

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲕᲢᲝᲠᲖᲔ

**ზალცმანი ლ. მ. და სხვ.**

**სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო წამოწყებათა ორგანიზაცია. თბ., 1945.**

ᲝᲗᲮ-ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ, ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲜ ᲡᲘᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო** წამოწყებათა ორგანიზაცია. თარგმ. რუს. ნ. ქუჩუკავშვილისა. დოც. პ. ჟღენტის რედ. თბ., „ტექნიკა და შრომა", 1945. 224 გვ. სქემ. (სსრ მიწსახკომი საქ. სსრ ზოოტექნ. სავეტერ. ინ-ტი).
ავტ.: ლ. მ. ზალცმანი, ბ. ე. ბაბიკი, მ. მ. ბროზგული და მ. ი. ვესნიკი.

ბ) ხუთი და მეტი ავტორის წიგნები აიწერება სათაურზე; შენიშვნებში და ქვესათაურულ ცნობებში მოყვანილი უნდა იქნას პირველი სამი ავტორის გვარი შემოკლებული სიტყვების დამატებით, კვადრატულ ფრჩხილებში [და სხვ.] [и др.]. პირველ ავტორზე დგება დამატებითი აღწერილობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### აღწერილობის ნიმუში

იოსებ ბესარიონისძე სტალინი· მოკლე ბიოგრაფია გამოც. მე-2 შესწ. და შევს. შემდგენ.: გ. თ. ალექსანდროვი, მ. რ. გალაქტიონოვი, ვ. ს. კრუჟკოვი [და სხვ.] თბ., სახელგამი, პოლიტ. ლიტ-ის სექტ., 1949.
241 გვ. 14 ფ. ილ. (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებ. მარქს-ენგელს-ლენინის ინ-ტის საქ. ფილიალი) ბიბლიოგრ. ტექსტის შენიშვნებში.

### პირველ ავტორზე დამატებითი აღწერილობის ნიმუში

ალექსანდროვი გ. თ. და სხვ.
იოსებ ბესარიონისძე სტალინი. თბ., 1949.

გ) ოთხი და მეტი ავტორის წიგნების აღწერილობის დროს, ცალკე შემთხვევაში შეიძლება გაკეთებულ იქნას დამატებითი აღწერილობა არა მარტო პირველ, არამედ სხვა ავტორებზედაც, აგრეთვე რედაქტორებზე, თუ მათ შორის არიან ცნობილი მეცნიერები, ან და ისეთი პირები, რომლებიც ამ ბიბლიოთეკის მკითხველებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ.

ელექტრო-ენერგიის გამოყენება კოლმეურნეობებში. [შეადგინეს: ვ. ვ. გორნოვესოვმა, მ. ი. კული-კმა, ა. მ. ლოზნიცმა,... ნ. ა. საბანოვმა და სხვ. ნ. ა. საბანოვის რედ.] თარგმ. დ. პ. ბოკერიას და ა. პ. კაციტაძის მიერ. თბ , სახელგამი, 1950.
116 გვ. სურ. (სოფლ. მეურნ. ელექტროფიკა-ციის სრ. საკ. სამეც-კვლ. ინ-ტი).

### დამატებითი აღწერილობის ნიმუში რედაქტორზე

საბანოვი ნ. ა., რედ.
ელექტროენერგიის გამოყენება კოლმეურნეობებში. თბ., 1950.

(კეთდება აგრეთვე დამატებითი აღწერილობა პირველ ავტორზე)

§ 50. **უავტოროდ გამოცემული წიგნის აღწერა.** თუ წიგნში ავტორი არ არის ნაჩვენები, აღწერილობა წარმოებს სათაურზე. თუ თავფურცელზე ან კანზე მოხსენებულია რედაქტორის გვარი, მასზე დგება დამატებითი აღწერილობა.

### უავტორო წიგნის აღწერილობის ნიმუში

სახუნელი დავითი. კრებული პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის რედ.. თბ., თბილისის სახ. უნ-ტი. 1939.
169 გვ. ილ.; 1 ფ. პორტრ.

### დამატებითი აღწერილობის ნიმუში რედაქტორებზე

მელიქსეთბეგი ლ., რედ.
სახუნელი დავითი. თბ., 1939.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი 3

# ოფიციალურ და საუწყებო გამოცემათა აღწერილობა

## ა. ზოგადი დებულებები.

**§ 51. აღწერილობა კოლექტიურ ავტორზე და სათაურზე.** ა) ოფიციალური და საუწყებო გამოცემანი, რომელნიც გამოქვეყნებულია დაწესებულების, ორგანიზაციის, საზოგადოების ან სხვა რომელიმე კოლექტივის სახელით, შეიძლება აღწერილ იქნას იმ დაწესებულების სახელით, რომელმაც გამოაქვეყნა (კოლექტიური ავტორი) ან და სათაურზე.

ბ) კოლექტიურ ავტორზე აიწერება:

კანონისმიერი აქტები — სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, ერთობლივი დადგენილებანი სსრკ მინისტრთა საბჭოსი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ანალოგიური გამოცემანი;

ოფიციალური დოკუმენტალური მასალები, წესდებანი, დადგენილებანი, გადაწყვეტილებანი, რეზოლუციები, სტენოგრაფიული ანგარიშები, გეგმები, ანგარიშგებანი და სხვ. შემდეგი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისა:

1. სსრკ უმაღლეს საბჭოსი და აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების;
2. სსრკ მინისტრთა საბჭოსი და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების;
3. სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების;
4. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მოკავშირე

რესპუბლიკების პარტიების, საოლქო, სამხარეო, საქალაქო და რაიონული პარტორგანიზაციების;

5. საკავშირო ალკკ და რესპუბლიკური კომკავშირის ორგანიზაციების;

6. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსი და პროფესიული კავშირების.

კოლექტიურ ავტორზე აღწერილობის ნიმუში.

საქართველოს სსრ. უმაღლესი საბჭო. მოწვევა მე-3. სესია 1.

სტენოგრაფიული ანგარიში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია (მესამე მოწვევისა) 1951 წლის 18-20 აპრილი. თბ., 1951.

256 გვ.

---

საქართველოს სსრ. მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ ტყეებში თივის თიბვისა და პირუტყვის ძოვების წესების დამტკიცების შესახებ. დადგენილება № 1049 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსი 1947 წლის 27 სექტემბერი. თბ., სახელგამი, 1948.

12 გვ.

---

საქართველოს კ. პ. (ბ). ც. კ.

დირექტივები მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. ბიუროს დადგენილება. თბ., სახელგამი, 1952.

32 გვ.

---

საკ. კ. პ. (ბ). ც. კ.

საკ. კ. პ (ბ) ც. კ-ის ინსტრუქციები. ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ. საკ. კ. პ (ბ) წევრების და კანდიდატების აღრიცხვის შესახებ. საკ. კ. ბ (ბ) წევრთა და წევრობის კინდიდატთა ერთი პარტიული ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლის წესის შესახებ. პარტიის წევრთა და კანდიდატთა საწევრო გადასახადის შესახებ. თბ., 1949.

77 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო.
დადგენილება პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა 1946 წელში მუშების და მოსამსახურეების ინდივიდუალური და კოლექტიური შეზოსტნეობის შემდგომი განვითარების და გაუმჯობესების საქმეში პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. თბ., 1946.
27 გვ.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო.
თბილისის საბჭოს 1936 წლის ადგილობრივი ბიუჯეტები. თბ., 1936.
28 გვ.

(კონსტიტუციებისა და კანონების აღწერილობის შესახებ იხ. § 55).

გ) კოლექტიურ ავტორზე აღიწერებიან აგრეთვე სამინისტროების და მათი მთავარი სამმართველოების გამოცემები; მინისტრთა საბჭოებთან არსებული კომიტეტების, სამეცნიერო და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, სასწავლებლების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, სამეურნეო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების, სამეცნიერო ყრილობების, კონფერენციების და ამის მაგვარი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი გამომქვეყნებელი კოლექტივის დასახელება შედის, ან იგულისხმება შემავალად სათაურში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსრკ. დამზადებათა სამინისტრო.
დებულება დამზადებათა სამინისტროს რაიონული რწმუნებულისა აგენტების შესახებ თბ., 1948.
16 გვ.

გეოლოგიის და მინერალოგიის ინსტიტუტი. თბილისი.
შრომათა კრებული. თბ., საქართველოს მეცნ. აკადემია, 1951.
496 გვ. ილ.; 5 ფ. ილ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი.
ცნობარი ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში 1946 წელს შემსვლელთათვის. თბ., 1946.
52. გვ.

---

თბილისის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა კონფერენცია, 1-ლი. 1947.
მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., სახ. უნ-ტი, 1947.
52 გვ. (სსრკ. უმაღლ. განათლების სამინისტრო).

---

შენიშვნა: თუ წიგნის სათაურში მოყვანილი კოლექტივი წარმოადგენს მხოლოდ ობიექტს მისი შინაარსისას, აღწერა სწარმოებს შემდგენელზე, ან სათაურზე (იხ. § 99 ნაწარმოებნი კოლექტივების შესახებ).

დ) სათაურზე აიწერება პროპაგანდისტული, მეთოდური და საინსტრუქციო მასალები (სამახსოვროები, ინსტრუქციები, აგროწესები) სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისა.

---

მეთოდური დამუშავება № 12 პარტგანათლების ქსელის კანდიდატთა შემადგენლობის საზაფხულო ქსელისათვის. თბ., სახელგამი, 1931.
32 გვ. (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. კულტ. და პროპაგანდ. განყ. და პარტმუშ. ცენტრ. კაბინეტი).

---

ინსტრუქცია მოსავლის აღების, გალეწვის და შენახვის პერიოდში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის შესახებ. თბ., სახელგამი, 1948.
29 გვ. ილ.; 1 ფ. ილ. (საქ. სსრ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხვრომითითებანი ჩაის სანერგეების გაშენების და ჩაის პლანტაციების მოვლაზე. თბ., სახელგამი, 1941.

46 გვ. (საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომ-ტი).

ე) სათაურზე აიწერება აგრეთვე დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მასალები, რომლებიც ჩამოთვლილია პუნქტ „გ“-ში, ამავე §-სა, თუ წიგნის სათაური არ შეიცავს კოლექტივის დასახელებას და მის მიუთითებლადაც საკმაოდ ინდივიდუალურია.

გამომუშავების ხანიმუშო ნორმები და შეფასებები კოლმეურნეობებში. თბ., სახელგამი, 1948.

VI, 99 გვ. (საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

კარტოფილის აპრობაციის სახელძღვანელო. თბ., 1946.

39 გვ. ნახ. (საქ. სსრ მიწათმოქმედების სამინისტრო. მეხილეობა - მებოსტნეობის სამმართველო).

წესები საქალაქთაშორისო ტელეფონებით სარგებლობისა. თარგმ. ვ. სანაიას და ა. ხელაძის. თბ., 1940:

31 გვ. (საქ. სსრ კავშირგაბმულობის სახალხო კომ-ტი. ტელეგრაფ-ტელეფონის სამმართველო).

ინსტრუქცია ახლად ორგანიზებული სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკების გახსნის წესის შესახებ. თბ., საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა, 1949.

16 გვ. (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არს. კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომ-ტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| | | პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურა. (ანოტირებული კატალოგი). თბ., 1944.<br>56 გვ. (დაწყ. და საშ. სკოლის სახ. სამეც.-საკვლ. ინ-ტი). |

| | | |
|---|---|---|
| | | Физиология процессов утомления и восстановленя. Сборник трудов Конференции Кафедры нормальной физиологии. Под ред действ. чл. АН УССР проф. Г. В. Фольборта. Киев, Госмедиздат УССР, 1951.<br>156 стр. с илл. (Киевск. ордена Труд. Красного Знамени мед. ин-т им. акад. А. А. Богомольца).<br>Библиогр в конце статей. |

| | | |
|---|---|---|
| | | Строительные материалы. Стандарты и техн. условия на основные изделия, выпускаемые предприятиями МПСМ РСФСР. М., 1951.<br>492 стр. с илл. (РСФСР. М-во пром. строит. материалов).<br>На обор. тит. л. сост.: М. А. Соболев. |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საქმის უკეთ ორგანიზაციის მიზნით სამეცნიერო და სპეციალურ ბიბლიოთეკებში, ოფიციალური და საუწყებო მასალების კატალოგებში მიზანშეწონილია, ბიბლიოთეკის პროფილის მიხედვით, გაფართოებულ იქნას კოლექტიურ ავტორზე აღწერილობის საზღვრები. ვიწრო, საუწყებო ხასიათის გამოცემები, რომელთაც მოკლევადიანი მნიშვნელობა აქვს, სასურველია დამუშავებულ იქნას ჯგუფური წესით.

სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიაში აღწერილობას კოლექტიურ ავტორზე არ იყენებენ. დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და სხვ. ოფიციალური გამოცემები აიწერება სათაურზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 52. **აღწერილობის თავსათაურის ერთგვარობა.** აღწერილობის თავსათაურში დაწესებულების ან ორგანიზაციის დასახელება მოყვანილ უნდა იქნას ერთგვარად კატალოგში ასახული ყველა მისი გამოცემისათვის (სახელგამოცვლილ კოლექტივების გამოცემათა აღწერილობის შესახებ იხ. § 74).

იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნში მოცემული დასახელება არსებითად განსხვავდება აღწერილობის თავსათაურისათვის მიღებულ დასახელებისაგან—კეთდება მითითება (იხ. § 54-ბ).

§ 53. **კოლექტივის დასახელების განმეორება აღწერილობის ტექსტში.** სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საკ. ალკკ, ხელმძღვანელი პარტიული და კომკავშირული ორგანოებისა და საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს გამოცემების აღწერის დროს—აღწერილობის თავსათაურში მოყვანილი კოლექტივის დასახელება მეორდება სათაურში და ქვესათაურში. დანარჩენ შემთხვევებში ორგანიზაციისა ან დაწესებულებების დასახელება, რომელიც მიღებულია, როგორც თავსათაური, აღწერილობაში არ მეორდება, მიუხედავად იმისა, მოცემულია იგი სრულად თუ შეკვეცილად. გამოტოვებული სიტყვები შეიცვლება მრავალ წერტილით. გამონაკლისს წარმოადგენენ შემთხვევები, როდესაც წიგნის სათაური კოლექტივის დაუსახელებლად გაუგებარი ხდება.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.**
**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება.**

**სსრკ. ფინანსთა სამინისტრო.**
**ინსტრუქცია... № 346 1943 წლის 10 ივნისის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.**

სსრკ. სახელმწიფო ბანკი.
ინსტრუქცია სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში საბუღალტრო აღრიცხვის, საბუთბრუნვის, კონტროლის და ანგარიშგების შესახებ. თბ., 1946.
531 გვ.

Куйбышевский обл. Совет депутатов трудящихся.
Решение .. от 28 сентября 1951 года..

თუ გამოცემაში ნაჩვენებია არა მარტო დაწესებულება, რომელიც ავტორია გამოქვეყნებული მასალისა, არამედ ის უწყებაც, რომლის სისტემაშიც ეს დაწესებულება შედის, ეს უკანასკნელი (უწყება) აღწერილობაში არ შედის.

§ 54. **დამხმარე აღწერილობათა გამოყენება.** კოლექტიურ ავტორზე აღწერის დროს ანბანურ კატალოგში შეიტანება შემდეგი დამატებითი აღწერილობანი და დამხმარე ბარათები:

**ა) დამატებითი აღწერილობანი:** 1. სათაურზე, თუ ამ უკანასკნელში არ შედის ან არ იგულისხმება შემავალად, როგორც განუყოფელი ნაწილი, დაწესებულების ან ორგანიზაციის დასახელება, რომელზედაც შედგენილია აღწერილობა.

კოლექტიურ ავტორზე შედგენილი წიგნის აღწერილობის ნიმუში, რომელსაც დასრულებული სათაური აქვს:

საკავშირო ალკკ. ც. კ.
ინსტრუქციების კრებული. პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებისათვის. თბ., 1948.
56 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



> ინსტრუქციების კრებული. პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებისათვის. თბ., 1948.
>
> საკავშირო ალკკ. ც. კ.

2. კოლექტივზე, რომელიც გამოცემის თანაავტორია (მეორე კოლექტივი) (იხ. § 75).

**ბ) მითითებითი ბარათები კეთდება:** 1. ზოგადი მითითებანი — წიგნში მოყვანილ დაწესებულების ან ორგანიზაციის სახელწოდებიდან, იმ დაწესებულებების სახელწოდებისადმი, რომლითაც აწერილია წიგნი.

> Всесоюзний Центральний совет профессиональных союзов
>
> см.
>
> ВЦСПС

> ВСНИТО
>
> см.
>
> Всесоюзный совет научных инженерно-технических обществ.

> Комитет по делам культурно-просветительных учреждений при Совете Министров РСФСР.
>
> см.
>
> РСФСР. Комитет по делам Культурно-просветительных учреждений.

2. კერძო მითითებანი — დაწესებულება-ორგანიზაციის ერთი დასახელებიდან მეორისადმი, რომელიც აგრეთვე მიღებულია აღწერილობის თავსათაურად, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე დაწესებულების გამოცემანი თავმოყრილია კატალოგში სხვადასხვა თავსათაურით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Ленинградский медицинский институт, 3-й
см. также
Венно-морская медицинская академия.

Военно-морская медицинская акалемия
см. также
Ленинградский медицинский институт, 3-й

გ) **საცნობარო ბარათები.**— სიტყვებზე „რეზოლუცია", „დადგენილება", და ა. შ., რომლითაც იწყება ოფიციალურ გამოცემათა სათაურები.

დადგენილება.
დაწესებულებათა და ორგანიზაციების დადგენილებანი იხ. კატალოგში სათანადო ორგანიზაციის და დაწესებულებების დასახელებით. მაგალ. სსრკ მინისტრთა საბჭო. დადგენილება...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საცნობარო ბარათები ამას გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნას კატალოგში მოცემულ დიდი რაოდენობის მითითებათა შემცვლელებად. კოლექტივის ერთსა და იგივე ტიპიურ დასახელსბაზე. მაგალ. კატალოგში მოცემული მითითება სიტყვიდან „სამინისტრო" შეიძლება შეცვლილი იქნას ასეთი საცნობარო ბარათით:

სამინისტრო.
სამინისტროების გამოცემები იხ. კატალოგში ქვეყნის ან რესპუბლიკის სახელწოდებაზე, რასაც სამინისტროს დასახელება მოსდევს. მაგალ.: სსრკ. შინაგანი და საგარეო ვაჭრობის სამინისტრო; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზ. ოფიციალურ და საუწყებო გამოცემათა ცალკეულ სახეობის აღწერილობა

§ 55. **კონსტიტუციებისა და კანონების გამოცემანი.** კონსტიტუციათა ტექსტები, კანონები და კანონთა კოდექსები აიწერება სათაურზე.

კონსტიტუციის აღწერილობის ნიმუში

> **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). სსრკ მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს I, II და III სესიების მიერ მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით. თბ., სახელგამი, პოლიტლიტ. სექტ., 1953.**
> **36 გვ.**

კანონების აღწერილობის ნიმუში

> **კანონი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ. თბ., „კომუნისტი", 1948.**
> **32 გვ.**

> **სამოქალაქო სამართლის კოდექსი (ცვლილებებით 1949 წ. ოქტომბრის 1-დე). თბ., სახელგამი, პოლიტლიტ. სექტ., 1950.**
> **247 გვ.**

§ 56. **სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფოებრივი მმართველობის უმაღლესი ორგანოების გამოცემანი. ზოგადი წესები.** ა) სსრკ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფოებრივი მმართველობის და აგრეთვე მის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გამოცემათა აღწერილობის დროს, აღწერილობის თავსათაურში პირველ ადგილზე უჩვენებენ „სსრკ" ან რესპუბლიკის დასახელებას, რასაც მოსდევს სახელმწიფოებ-

ბიბლიოთეკა

რივი ხელისუფლების ორგანოს, ან სახელმწიფოებრივი სამმართველოს დასახელება.

| წ ი გ ნ შ ი: | აღწერილობაში: |
|---|---|
| სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო<br>Верховный Совет СССР | სსრკ. უმაღლესი საბჭო.<br>СССР. Вевховный Совет |
| საკავშირო მინისტრთა საბჭო<br>Совет Министров СССР | სსრკ. მინისტრთა საბჭო.<br>СССР. Совет Министров |
| საქართველოს განათლების სამინისტრო<br>Министерство просвещения Башкирской АССР | საქართველოს სსრ. განათლების სამინისტრო...<br>Башкирская АССР. Министерство просвещения. |

სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოსაგან, ან სახელმწიფოებრივი სამმართველოს დასახელებიდან კატალოგში კეთდება მითითება ან საცნობარო ბარათი (იხ. § 54, გ).

> Министерство просвещения Башкирской АССР.
>
> см.
>
> Башкирская АССР. Министерство просвещения.

ბ) უცხო სახელმწიფოთა უმაღლეს-საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოების ოფიციალურ გამოცემათა აღწერა იმავე წესით ხდება, ე. ი. აღწერილობის თავსათაურში პირველ ადგილზე გამოიყოფა ქვეყნის დასახელება.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და დემოკრატიულ რესპუბლიკათა დასახელება მოიყვანება ამ ქვეყნების ოფიციალური დოკუმენტების შესაბამისად.

> Китайская Народная Республика. Народный политический консультативный совет.
>
> Общая программа Народного полититческого консультативного совета Китая. Принята 1-й сессией... 29 сент. 1949 г. М., Госполитиздат, 1950.
>
> 23 стр.

§ 57. სსრკ უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების გამოცემანი: ა) უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოების გამოცემათა თავსათაურში პირველ ადგილზე უჩვენებენ „სსრკ"-ს ან და რესპუბლიკის დასახელებას, რის შემდეგ მოჰყავთ: „უმაღლესი საბჭო", სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის გამოცემისათვის დაემატება: „პრეზიდიუმი".

სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების
აღწერილობის ნიმუში

სსრკ. უმაღლესი საბჭო. პრეზიდიუმი.
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო ბაჟის შესახებ. თბ., 1949.
56 გვ.

მ ი თ ი თ ე ბ ი ს ნ ი მ უ შ ი

უმაღლესი საბჭო—სსრკ.
იხ.
სსრკ. უმაღლესი საბჭო.

Верховнный Совет СССР.
см.
СССР. Верховный Совет.

ბ) უმაღლესი საბჭოს სესიების გამოცემათა აღწერისას, აღწერილობის თავსათაურში უჩვენებენ მოწვევისა და სესიის რიგითი ნომერს შემდეგი ფორმით: მოწვევა, მე-2 (Созыв, 2-й). სესია, მე-4. (Сессия, 4-я).

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიის სტენოგრაფიული ანგარიშის აღწერილობის ნიმუში

სსრკ. უმაღლესი საბჭო. მოწვევა, მე-3, სესია, მე-2.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები (მეორე სესია) 6—12 მარტი. სტენოგრ. ანგარიში. თბ., 1951.
388 გვ.

### მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის სტენოგრაფიული ანგარიშის აღწერილობის ნიმუში

საქართველოს სსრ. უმაღლესი საბჭო. მოწვევა, მე-3. სესია, 1.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია (მესამე მოწვევისა) 1951 წლის 18—20 აპრილი სტენოგრ. ანგარიში. თბ., 1951.
256 გვ.

### მითითების ნიმუში

უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ
იხ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

Верховный Совет Грузинской ССР.
см.
Грузинская ССР. Веоховный Совет.

§ 58. **სსრკ მინისტრთა საბჭოსი და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გამოცემანი.** სსრკ მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ოფიციალური გამოცემანი აიწერებიან თავსათაურით, რომელიც იწყება: „სსრკ"-თი ან და რესპუბ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიკის დასახელებით, რომლის შემდეგ მიეწერება: „მინისტრთა საბჭო".

სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების
აღწერილობის ნიმუში

სსრკ. მინისტრთა საბჭო.
კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ნაყოფიერების გადიდების და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 1259. 1948 წლის 19 აპრილი. თბ., „კომუნისტი", 1948.
24 გვ.

(უკეთდება დამატებითი აღწერილობა სათაურზე)

მითითების ნიმუში

მინისტრთა საბჭო სსრკ.
იხ.
სსრკ. მინისტრთა საბჭო.

§ 59. **სამინისტროებისა და მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კომიტეტების გამოცემანი:** ა) მოკავშირე და რესპუბლიკურ სამინისტროებისა და მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომიტეტების მიერ გამოცემული ოფიციალური მასალების აღწერილობის თავსათაურში პირველ ადგილზე უჩვენებენ „სსრკ"-ს ან რესპუბლიკის დასახელებას, შემდეგ კი სამინისტროს ან კომიტეტის დასახელებას. სამინისტროს ან კომიტეტის დასახელებიდან კეთდება მითითება ან საცნობარო ბარათი (იხ. § 54-ბ, გ).

სამინისტროს მასალების აღწერილობის ნიმუში

საქართველოს სსრ. ვაჭრობის სამინისტრო.
საქ. სსრ ბაზრებზე მოვაჭრეთაგან ერთჯერადი გამოსაღებისა და მომსახურების გადასახადების აკრეფის მოწესრიგების შესახებ. ბრძანება № 87 საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსადმი. 14 ნოემბერი 1947 წ. თბ., 1947.
32 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითითების ნიმუში

| ვაჭრობის სამინისტრო. საქართველოს სსრ.<br>იხ.<br>საქართველოს სსრ. ვაჭრობის სამინისტრო. |
|---|

კომიტეტის მასალების აღწერილობის ნიმუში

| СССР. Государственный плановый комитет.<br>Сообщение Государственного планового комитета СССР и Центрального статистического управления СССР об итогах выполнения четвертого (первого послевоенного) пятилетнего плана СССР на 1946—1950 годы. М., Госполитиздат, 1951.<br>23 стр. |
|---|

მითითების ნიმუში

| Государственный плановый комитет СССР.<br>см.<br>СССР Государственный плановый комитет. |
|---|

ბ) მასალები მთავარ სამმართველოებისა, რომლებიც სახალხო მეურნეობის განსაზღვრულ დარგს განაგებენ, აიწერება ანალოგიურად სამინისტროების გამოცემებისა.

მთავარ სამმართველოს აღწერილობის ნიმუში

| სსრკ. სახ. დაზღვევის მთავარი სამმართველო.<br>წესები დაზღვევისა, სიკვდილის და ინვალიდობის შემთხვევისათვის. თბ., 1947.<br>12 გვ. (სსრკ. ფინანსთა სახ. კომისარიატი. სახ. დაზღვევის მთავარი სამმართველო. სახდაზღვევა). |
|---|

(უკეთდება დამატებითი აღწერილობა სათაურზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახდაზღვევა. სსრკ. ფინანსთა სახ. კომ-ტი.

იხ.

სსრკ. სახ. დაზღვევის მთავარი სამმართველო.

გ) მთავარ სამმართველოების და სამმართველოების მასალები, რომლებიც სამინისტროს ფუნქციონალურ განყოფილებას წარმოადგენენ (მაგალ.: სასწავლებელთა მთავარი სამმართველოები, ტექნიკური სამმართველოები) და აგრეთვე სამინისტროების ცალკე განყოფილების მასალები აიწერება სამინისტროს დასახელებაზე, სამმართველოს ან განყოფილების დაუსახელებლად. ეს უკანასკნელი მოიყვანება აღწერილობის ტექსტში.

ნიმუში სამმართველოს მასალების აღწერილობისა,
რომელსაც ინდივიდუალური დასახელება არა აქვს

СССР. Министерство речного флота.

Сборник ведомственных нормалей МРФ на предметы хозяйственного, шкиперского, судового и такелажного инвентаря. МРФ 1037—50, 1039—50, 1083—50. Л.-М., Речиздат, 1951.

104 стр. с черт. (МРФ СССР. Центр. техн. упр. ЦТКБ).

ნიმუში სამინისტროს განყოფილების აღწერილობისა

СССР. Министерство речного флота.

Временное руковрдство по составлению судоремонтных и судостроительных предприятий Министерства речного флота СССР. М., Речиздат, 1951.

230 стр.: 1 л. форм. (М-во речного флота СССР. Центр. план.-экон. отд.)

(კეთდება დამატებითი აღწერილობა სათაურზე)

§ 60. **სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების გამოცემანი.** ოფიციალური მასალები სსრკ, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა (მათი სესიების, განყოფილებებისა და სამმართველოების) აიწერება დაწესებულების სახელით, რომელიც გეოგრაფიული ზედსართავით იწყება.

თბილისის საქალაქო საბინაო განყოფილება.
ქუთაისის საოლქო განათლების განყოფილება.
თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო.
მოჟაისკის ჯანმრთელობის დაცვის სარაიონო განყოფილება.
ორლოვის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ოფიციალური მასალების აღწერილობის ნიმუში

Воронежский обл. Совет депутатов трудящихся.
Сборник важнейших решений Исполкома Воронежского областного Совета депутатов трудящихся. [Окт. 1951 г.]. Воронеж, 1951.
19 стр.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს განყოფილების ოფიციალური მასალების აღწერილობის ნიმუში

Куйбышевский гор. финансовый отдел.
Отчет об исполнении городского бюджета за 1947 год. Куйбышев. [1948].
31 стр.

(წიგნში სათაურის წინ: Куйбышевский исполнительный комитет Городского Совета депутатов трудящихся. Финансовый отдел).

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ოფიციალური მასალების აღწერილობის ნიმუში

Николаевское обл. управление сельского хозяйства.
План мероприятий по постановке сельхозпропаганды, внедрению достижений науки и передового опыта и организации массового колхозного опытничества на 1951 год. Никалаев, 1951.
16 стр.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**§ 61. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცემანი.**

ა) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოფიციალური გამოცემანი აიწერება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის“ სრული სახელწოდებით. პარტიის შემოკლებულ დასახელებაზე კეთდება საცნობარო ბარათი.

პარტიის წესდების აღწერილობის ნიმუში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.
